საპარლამენტო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 28 ივლისი 1999 №141 (914) | ფასი 50 თეთრი


## 2 იოჰან ბოსკამპი: ყველას დავხოცავ!

გუშინ „დინამოს“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა და კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონისწინა პრესკონფერენცია გამართეს

## 7 ანელკა ერთი წლით ლონდონში დარჩა



„არსენალის“ ოცი წლის ფრანგი თავდამსხმელი მინიმუმ ერთ სეზონს ისევ „ჰაიბერიზე“ გაატარებს

## 8 როტორიც დასაჯეს

„ალანიასთან“ მომხდარი ინციდენტის გამო ვოლგოგრადელებს 0:3 წაგება ჩაუთვალეს

## 14 ბიორნ ბორგი ბორჯომის ბოთლით



ჭკუისსასწავლებელი ქართული ამბავი დიდ შვედ ჩოგბურთელზე

ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

### დინამო — ზიმბრუ

28 ივლისი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

# ახალი დინამო vs ზიმბრუ



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ანდრე სილიუ დე სოუზა

კიშინიოვის „ზიმბრუსთან“ დღევანდელი მატჩით თბილისის „დინამოსთვის“ ახალი დროება იწყება: საქართველოს ჩემპიონი წლევანდელ ევროსეზონს ჰოლანდიელი მწვრთნელით, ბელგიელი მეკარით და ბრაზილიელი თავდამსხმელით ეგებება

იხილეთ მესამე გვერდი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დენიტ დონდტი

# ევროპამდე ისევ მოლოდინია

## ისტორია, რომელიც არ უნდა განმეორდეს



ნუგზარ კეთილაძის ფოტო

გუშინ ეროვნულზე: კიშინიოვის „ზიმბრუმ“ უკაცრიელ სტადიონზე ივარჯიშა

# ბოსკამპი დინამოელებს მოკვლით დაემუქრა

დღეს თბილისის „დინამოს“ კიშინიოვის „ზიმბრუსთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ელის. სეზონისწინა შეკრება, მოგეხსენებათ, „დინამომ“ ჰოლანდიასა და გერმანიაში გაიარა. საზღვარგარეთ მყოფი ქვეყნის ათგზის ჩემპიონის შესახებ ახალ-ახალ ამბებს „სარბიელი“ შეძლებისდაგვარად გაწვდიდათ, გუშინ კი კლუბის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა და გუნდზე ვრცლადაც გვესაუბრა. დიღმის ბაზაზე მისულ ჟურნალისტებს „დინამოს“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი რომან შოთაძე და მთავარი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი შეგვხვდნენ.

ბოსკამპს მალე ფეხბურთელებთან თეორიული მეცადინეობა ელოდა, შოთაძემაც თავიდან სიტყვა ჰოლანდიელ მწვრთნელს მისცა, რომელმაც ეს გვითხრა:

... შეკრებიდან ორი ლეგიონერით გაძლიერებულნი დავბრუნდით. ჰოლანდია-გერმანიაში ყოფნისას რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი გავსინჯეთ, საბოლოოდ კი ორი დავიტოვეთ. ბელგიელი მეკარე დენი დონდტი და ბრაზილიელი თავდამსხმელი ანდრე სილიუ დე სოუზა. დონდტს დე სოუზაზე უკეთ ვიცნობ გამოცდილი მეკარეა. ბელგიის უმაღლეს დივიზიონში 18-19 წლიდან თამაშობს. საკმაოდ კარგად კითხულობს თამაშს, ძლიერია გამოსვლებზე, ასევე ფეხით თამაშში. სულ ცხრა დღეა, რაც ჩვენთან ერთადაა. ერთი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. შეკრებაზე 6-7 მეკარე გამოვცადეთ, მაგრამ საბოლოო არჩევანი მასზე შევაჩერეთ. ვფიქრობ, არ შევმცდარვართ.

დე სოუზას შესაძლებლობები კი ბოლომდე არ ვიცი. ცოტა ხანია, რაც გუნდშია და ვერ მოვასწარი შესწავლა. ყველაზე მეტად ბურთის ფლობით გამოირჩევა, შესანიშნავად ფარავს მას კორპუსით. ასევე მშვენივრად ურტყამს ორივე ფეხით, კარგად თამაშობს თავით. ერთი შეხედვით დიდი და მოუქნელი კი ჩანს, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. 3-4 ნაბიჯის შემდეგ დიდ სისწრაფეს ავითარებს. ჩემი პირველი შთაბეჭდილების მიხედვით ძლიერი ფეხბურთელი უნდა იყოს, დანარჩენი კი მალე გამოჩნდება.

...შეკრება ნაყოფიერი გამოდგა. ბევრს ბიჭები გადაღლილნი ჰგონია, მაგრამ ეს სიმართლე არ არის. საკონტროლო მატჩებში დავინახე, რომ გუნდი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული, თუმცა დღემდე ვერ ამიხსნია, რა დაემართათ ფეხბურთელებს ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში მეორე ბუნდესლიგის „მაინცთან“, რომელიც 4:1 წავაგეთ. იმ მატჩში ჩავარდნას მე უფრო სამშობლოსადმი ნოსტალგიას ვაბრალებ. „ზიმბრუსთანაც“ რომ ისე ვითამაშოთ, მოგების უმცირესი შანსიც არ გვექნება. თუმცა „მაინცი“, ალბათ, აღარ განმეორდება. ასეთი ჩავარდნები ყველას აქვს. ერთ მატჩს რომ ცუდად ითამაშებ, არ ნიშნავს იმას, რომ მეორეშიც იგივეს გაიმეორებ. ისე, მართლა ასე რომ მოხდეს, ყველას მოვკლავ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ახალწვეული გვყავს, ზემოხსენებულ საკონტროლო მატჩებში შეთამაშების მხრივ ბევრი ხარვეზი ვერ დავინახე. ეს თავად ახალმოსულების დამსახურებაა. სიჭინავა, კობიაშვილი, გიგიაძეები, შაშიაშვილი და სხვებიც კარგი ფეხბურთელები არიან, თუმცა ერთი მინუსი ყველას აქვს — ბურთს დიდხანს ათამაშებენ. პასამდე ბურთს ხუთი-ექვსჯერ მაინც ეხებიან, მაშინ, როცა ერთი შეხებით შეტევაზე გადასვლაა საჭირო. გუნდში სხვაც ბევრი ნაკლია, თუმცა ამაზე არაფერს გეტყვით. არასწორად მიმაჩნია ხარვეზებზე საჯაროდ საუბარი. ყველა ფეხბურთელს ცალ-ცალკე ვესაუბრები და ნაკლზეც ვუთითებ-ხოლმე.

რატი ალექსიძის ნაცვლად გუნდის კაპიტნად გივი დიდავას დანიშვნა მხოლოდ ერთმა ფაქტორმა გადამაწყვეტინა. უბრალოდ, ვთვლი, რომ დიდავა დღესდღეობით „დინამოს“ ლიდერია, აქედან გამომდინარე, უფრო ღირსეული კაპიტანიც იქნება. კაპიტანი მხოლოდ ამიტომ შევცვალე. ამაში განსაკუთრებული არაფერია. ალექსიძე სხვა მწვრთნელის დროს იყო კაპიტანი, დიდავა კი სხვა. ისე, დიდავა ცალკე საუბრის თემაა. ყველა გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებიც გარკვეულ მომენტში ლიდერის ფუნქციას იტვირთებენ, თავზე მეტ პასუხისმგებლობას იღებენ, გივი დიდავაც ასეთად მესახება.

ბევრი „ზიმბრუს“ ბარიერს უკვე გადალახულად თვლის და „ეინდჰოვენზე“ ფიქრობს, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ ჯერ მოლდოვური კლუბი უნდა დავამარცხოთ. „ზიმბრუ“ ძლიერი გუნდია. ამაში მე „სენტ პატრიკზთან“ ორრაუნდიანმა ბრძოლამაც დამარწმუნა. კიშინიოველთა ყველაზე ძლიერ მხარედ კი ტექნიკურობა მიმაჩნია. ასე რომ, „ეინდჰოვენამდე“ ჯერ შორია.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ზიმბრუსთან“ პირველ მატჩში არ გვეყოლება ოთარ ხიზანეიშვილი, რომელსაც ტრავმა აწუხებს. ასევე დაშავებულია არჩილ სახვაძეც, თუმცა მისი მდგომარეობა უფრო მსუბუქია და მოლდოველებთან, ალბათ, ითამაშებს კიდეც.

სულ ეს იყო, რაც ბოსკამპმა პრესკონფერენციაზე თქვა. ჰოლანდიელ მწვრთნელს ჩემპიონთა ლიგაში „დინამოს“ გასვლის შანსებზე არ უსაუბრია, არც დაპირებები დაუწყია, მხოლოდ ის აღნიშნა, მძიმე ბრძოლები მოგველისო. მისი წასვლის შემდეგ კი რომან შოთაძე გვესაუბრა.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ „დინამოს“ სულ მალე ახალი პრეზიდენტი ეყოლება. მოგეხსენებათ, მერაბ ჟორდანიას წასვლის შემდეგ მე მხოლოდ პრეზიდენტის ძოვალეობის შემსრულებელი ვარ. 8-10 დღეში კი „დინამოს“ დირექტორატის სხდომა შედგება, სადაც ახალი პრეზიდენტი აირჩევა. თუმცა კანდიდატურა, ჩემი ჩათვლით არავის წამოუყენებია.

...სტადიონზეც [illegible]. ცოტა ხნის წინ უეფასგან მივიღეთ ფაქსი, სადაც აღნიშნულია, რომ [illegible] ორგანიზაცია [illegible] მისზე და გვრთავს საკვალიფიკაციო მატჩების ისეთ სტადიონზე ჩატარების უფლებას, როგორიც „ეროვნულია“. თუმცა იქვე ხაზგასმულია, რომ „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში გასვლის შემთხვევაში თამაშების თბილისში გამართვა გამორიცხულია. მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი შეუფერებელი განათებაა. უეფას სტანდარტებით 1400 ლუქსი მაინც უნდა იყოს, ჩვენთან კი ნახევარიც არ არის. განათების გაკეთებაში ცნობილმა ფირმამ — „სიმენსმა“ 350 000 დოლარი ითხოვა, ამდენის გადახდის საშუალება კი სტადიონს არ აქვს, არა აქვს მერიასაც, რომელიც ყოველმხრივ მხარში გვიდგას. „ეროვნულზე“ ჩატარებულ სამუშაოთა უდიდესი ნაწილიც მერიას დამსახურებაა. უეფამ გვთხოვა, ვაცნობოთ ის ორი ქვეყანა, სადაც ჯგუფში გასვლის შემთხვევაში საშინაო მატჩებს ჩავატარებთ. თუმცა ჩვენ არ ვჩქარობთ არჩევნის გაკეთებას. მით უმეტეს, „ზიმბრუსა“ და „ეინდჰოვენის“ ძლევის შემთხვევაში განათების მოსაწესრიგებელი დრო გვექნება. მთავარი ფინანსებია.

... ბოლო დროს გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ტორპედოელი გია იმედაძის გადმოყვანა გვინდა. მისი გადმობირების შესახებ ლაპარაკი მართლაც იყო, თუმცა ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ იმედაძე „ტორპედოში“ დარჩეს.

... ორივე ლეგიონერთან ნახევარწლიანი კონტრაქტები გავაფორმეთ. ლიგაში მოხვედრის შემთხვევაში კი ფეხბურთელთა კლუბებს მოველაპარაკებით და ხელშეკრულებების ვადას გავაგრძელებთ. დე სოუზას სატრანსფერო ფურცელი უკვე მოგვივიდა და მისი თამაშის უფლება გვაქვს. ყოველ წუთს ველით დონდტის სატრანსფერო ფურცელსაც. ბელგიის ფეხბურთის ფედერაციას ამასთან დაკავშირებით შევეხმიანეთ და სადაცაა, ფურცელიც მოგვივა.

... „დინამოში“ დაიწყო ვარჯიში ზაზა ზირაქიშვილმა, რომელსაც „არსენალთან“ პრობლემები ჰქონდა და ამის გამო აქამდე ვერ შემოგვიერთდა. ახლა კი „დინამოშია“ და „ზიმბრუს“ დამარცხების შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც შევიყვანთ.

ვანო ოქრობირიძე



[illegible] ფოტო

რომან შოთაძე, იოჰან ბოსკამპი და გია გეგუჩაძე გუშინდელი პრესკონფერენციისას

# ზირაქიშვილს ეინდჰოვენამდე შეახურებენ

თბილისის „არსენალმა“ ბევრი იბრძოლა თუ ცოტა, საწადელს მაინც ვერ მიაღწია, ანუ გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი მაინც ვერ დაიტოვა.

მოგეხსენებათ, ზირაქიშვილი სეზონთშორისის დასაწყისში დავით ყიფიანის მიწვევით ქუთაისის „ტორპედოში“ ვარჯიშობდა და ფაქტობრივად გადაწყვეტილიც კი იყო ზაზას ტორპედოელობა, ყიფიანიც არაერთხელ აცხადებდა, ჩათვალეთ, ზირაქიშვილი „ტორპედოს“ სრულუფლებიანი წევრიაო, მაგრამ ერთხელაც ზაზამ გუდა-ნაბადი აიკრა და ქუთათური კლუბიდანაც გაუჩინარდა. ზირაქიშვილი „არსენალში“ დაბრუნდა, „ტორპედოსა“ და არმიული კლუბის მესვეურნი ზირაქიშვილის ტრანსფერზე ვერ შეთანხმდნენ. ის თანხა, რაც „არსენალმა“ თავდასხმელში მოითხოვა, ქუთაისელთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა...

-სამაგიეროდ, როგორც ჩანს, თანხაზე საქართველოს უცვლელ ჩემპიონს, თბილისის „დინამოს“ მიუწვდება ხელი:

— „დინამოდან“ დამირეკეს და მითხრეს ბოსკამპმა მოითხოვა და ჩვენთან უნდა ივარჯიშოო. თუ „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგაში „ზიმბრუს“ ბარიერი დაძლია, „ეინდჰოვენთან“ მატჩებისთვის განაცხადში უნდა შეგიყვანოთ და მოემზადეო. მეც „არსენალიდან“ წამოვედი, ორი დღეა, რაც ბაზაზე განვაახლე ვარჯიში, ჯერჯერობით „თბილისთან“ ერთად. ამავე დროს „დინამოს“ მეორე მწვრთნელმა ფრანსუა დე იონგმაც „მაგრად შემახურა“ და, გულახდილად გეტყვით, გამიჭირდა კიდეც. მითხრეს, სულ ცოტა, 10 დღე ინდივიდუალურად მოემზადე, საჭირო კონდიციები სრულად აღიდგინე, რომ ფორმაში შეხვიდეო. მეც სხვა რა გზა მაქვს. ჯერჯერობით ესაა, „დინამოს“ უფროსობასთან ლაპარაკი არც მქონია, არც ვიცი, რამდენწლიან კონტრაქტზე მომიწევს ხელის მოწერა. იმასაც დავამატებ, რომ ჩემს თაობაზე არც „არსენალს“ და „დინამოს“ უსაუბრიათ, ამდენად, ბევრი რამ ჯერაც გაურკვეველია. ფაქტი კი ისაა, რაც ზემოთ გითხარით — გვითხრა გუშინ ზაზა ზირაქიშვილმა.

ერთი სიტყვით, ასეა. თუ მართლა სასწაული არ მოხდა (ტრანსფერზე თუ ვერ შეთანხმდნენ), ზირაქიშვილი ალბათ დინამოელი გახდება, მით უმეტეს, ცნობილია, იოჰან ბოსკამპმა თუ დაგიძახა, ჩათვალე, შენთან მუშაობა სურს, ახლა მთავარი ფინანსები და „დინამოს“ მიერ ორი მატჩის ჯამში კიშინიოვის „ზიმბრუს“ გამოთიშვაა.

გიორგი ვაშაკიძე



[illegible] ფოტო

ზაზა ზირაქიშვილი

# დინამომ უეფას საიდუმლო სია გაუგზავნა უგოგიჩაიშვილოდ

თბილისის „დინამომ“ კიშინიოვის „ზიმბრუსთან“ მატჩის წინ უეფას იმ 21 ფეხბურთელის სია გაუგზავნა, რომელთაგანაც 18-ს მოლდოველებთან სათამაშოდ დაიტოვებს. ეს 21 კი ქვემორე ჩამოთვლილი 28 კანდიდატისგან შეირჩა. მოთამაშეთა შორის კონკურენციის შესანარჩუნებლად „დინამოს“ ხელმძღვანელობამ უეფაში წარდგენილ განაცხადში დასახელებულთა ვინაობა არ გაამხილა.

ნუ გაიკვირვებთ, ამ სიაში კახა გოგიჩაიშვილის გვარს თუ ვერ ამოიკითხავთ. მან თბილისის „დინამო“ დატოვა.

გუშინ, როცა საქართველოს ჩემპიონები დიღმის ბაზაზე შეიკრიბნენ და მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი ფეხბურთელებს დღევანდელ მეტოქესთან, კიშინიოვის „ზიმბრუსთან“ სათამაშოდ მოძღვრავდა, კახა არასპორტულად რომ იტყვიან, სამოქალაქოში გამოწყობილი შევიდა ბაზაზე.

დინამოელი აღარ ვარ — გვითხრა გოგიჩამ... მიზეზზე, ცხადია, დავეკითხეთ, მაგრამ კახამ ამის თაობაზე საუბარი არ ისურვა, ეს კი თქვა, გუნდიდან ჩემით წავედიო.

*მეკარეები:*
*1. დენიტ დონდტი*
*12. სოსო გრიშიკაშვილი*
*30. გიორგი ლომაია*
*31. ზურაბ ბათიაშვილი*
*მცველები:*
*2. ოთარ ხიზანეიშვილი*
*3. დავით ჭიჭველიშვილი*
*4. გივი დიდავა*
*5. თენგიზ კობიაშვილი*
*6. არჩილ სახვაძე*
*14. ირაკლი ვაშაკიძე*
*19. ვალტერ გუჩუა*
*22. ზურაბ ხიზანიშვილი*
*23. იოსებ გიგიაძე*
*24. გიორგი შაშიაშვილი*
*25. ვალერი აბრამიძე*
*28. რევაზ ქემოკლიძე*
*ნახევარმცველები:*
*7. გიორგი კიკნაძე*
*8. რატი ალექსიძე*
*11. თენგიზ სიჭინავა*
*15. პაატა ჯინჭარაძე*
*18. ვასილ გიგიაძე*
*26. ოლეგ გველესიანი*
*თავდამსხმელები:*
*9. კლიმენტი წიტაიშვილი*
*10. მიხეილ აშვეთია*
*16. გიორგი შენგელია*
*17. ლევან ხომერიკი*
*21. ანდრე სილიუ დე სოუზა*
*27. გიორგი მიქაძე*

# ხსოვნა გოლისა

## მოლდოველებს ოპრეას გოლი ახსოვთ და უიმედოდ არც ახლა არიან

ვინ დათვლის, რამდენი კლუბი თუ ნაკრები სწვევია თბილისს. რა ჯურის ხალხი ჩამოსულა ეროვნულ სტადიონზე ამხანაგურ თუ ოფიციალურ მატჩში სათამაშოდ. მათ უამრავი გულშემატკივარი და ჟურნალისტიც ჩამოჰყოლია. ჩვენც, დამხვდურებიც, მრავლად შევგებებივართ აეროპორტის ფოიეში და სავარჯიშოდ მოედანზე გასულთათვისაც არ მოგვიკლია ყურადღება.



ნუგზარ კაითლაძის ფოტო

სემიონ ალტმანი

გუშინ კი პირველად ვნახე ამდენი გაკვირვებული სახე... სულ რაღაც 30-კაციანი დელეგაციით ჩამოფრინდა მოლდოვის ჩემპიონი, „შერატონს“ მიაშურა და 7 საათზე ჩვენს მთავარ საფეხბურთო არენას მოადგა.

უნებურად 5 წლის წინანდელი თბილისი გამახსენდა. ეროვნული სტადიონი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას მასპინძლობდა. მოლდოვის ნაკრები გვესტუმრა მაშინ და მთელი ქართული საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მისკენ იყო მიმართული. გეგონებოდათ, ევროპის ერთ-ერთი გრანდი ეწვიაო თბილისს.

გუშინ კი... გაკვირვებული გამომეტყველებით გვიმზერდა იგორ ოპრეა. ალბათ „ზიმბრუს“ 29 წლის ნახევარმცველი ფიქრობდა, ქვიშასავით მრავლად რომ იყავით მაშინ, სად დაიკარგეთო. ძველი ნაცნობივით მომინდა მასთან მიახლოება და ყოველივეს ცხადად ახსნა, სურვილი გამიჩნდა მეთქვა მისთვის — ეჰ, ჩემო იგორ, მას შემდეგ ბევრი რამ ვნახეთ, შენ რომ 5 წლის წინათ ის ერთადერთი გოლი გაგვიტანე, ასე გვეგონა, ცა ჩამოიქცა ქართული ფეხბურთისთვის. უიღბლობას მივაწერეთ ის ამბავი და ვერ გაგვერჩია, სიზმარი იყო, თუ ცხადი. მერე კი ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავს თორემ... მაშინ ვფიქრობდით, რომ აშკარად გჯობდით, როცა გიმზერდით, თქვენ კი არა, პირველ სამ ქულას ვხედავდით, იოლად მოპოვებული გამარჯვების საფასურს. მატჩის შემდეგ სახტად დარჩენილები გათვალიერებდით და ძნელად გვჯეროდა, ქართველებს მოლდოველებმა რომ მოგვიგეთ. ახლა კი აღარაფერი გვაკვირვებს. არც „დინამოსთან“ ნათამაშევი შეხვედრის ნებისმიერი ანგარიში გაგვაოცებს, რადგან ემოციებმა კარგა ხანია მიგვატოვა. ჰოდა, თქვენც ნუ გაგიკვირდებათ ქართველთა უცნაური სიმშვიდე, რომელიც სიძლიერის და თვითდაჯერების გამო როდი დაგვეუფლა...

ოციოდე კაცი ადევნებდა თვალს „ზიმბრუს“ გუშინდელ ვარჯიშს. სამარისებური სიჩუმე სუფევდა ეროვნულზე. სამიოდე კინკილა ჟურნალისტი ვუყურებდით „დინამოს“ მეტოქეს და რაღაც-რაღაცეების ჩანიშვნას ვცდილობდით. ჩასანიშნი და დასაზვერი ბევრიც არაფერი მომხდარა.

სემიონ ალტმანმა ძალიან მსუბუქად წაავარჯიშა შეგირდები. უკრაინელმა სპეციალისტმა 24 ფეხბურთელი იახლა თბილისში. „ზიმბრუს“ ფარმკლუბელები წამოუყვანია თან, ახალბედებს მატჩის ცქერა სამომავლოდ წაადგებათო. დელეგაციაში ორად ორი ჟურნალისტია. ერთი მოლდოვის ტელევიზიისთვის ვიდეოჩანაწერს გააკეთებს, მეორე კი — პირდაპირ რადიორეპორტაჟს.

საშუალო სიმაღლისანი არიან. ტექნიკური მონაცემები ნამდვილად არ დაეწუნებათ. აი, ფიზიკისა კი რა მოგახსენოთ. სულ ერთი საათით ინავარდეს მინდორზე. მათი შემხედვარე უთუოდ იფიქრებდით, არაა ეს გუნდი იმ ფეხბურთელთა ნაკრები, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა სერიოზულად რომ გადაეწყვიტოსო.

ერთი ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამთ. ყველა სავარჯიშო კომპონენტს დახვეწილად და უხმაუროდ ასრულებდნენ. მწვრთნელიც კმაყოფილი დარჩა. სემიონ ალტმანი საკმაოდ ენაწყლიანი დიპლომატი ჩანს. სულ ძველი დროის ქართულ ფეხბურთზე გვესაუბრა. როცა ვკითხეთ, „დინამოზე“ დამატებით რაიმე ინფორმაცია ხომ არ მიგიღიათო,, ღიმილით გვიპასუხა — მაგაში თქვენზე უკეთესად ვინ დამეხმარებაო. „დინამო“ კარგი გუნდია — მივაშველეთ უმალ. ეჭვიც არ მეპარებაო, თავაზიანად დაგვიდასტურა. ისრაელში გადაბარგებული კლეშჩენკოს გარეშე თამაში არ გაგიჭირდებათ? — არ ვეშვებით. რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება, მაგრამ მის შემცვლელსაც როგორმე გამოვნახავთო, გვიპასუხა. „ეინდჰოვენი“ ვუხსენეთ. ახლა მხოლოდ „დინამოზე“ ვფიქრობო.

ჩვენც „დინამოზე“ ფიქრით გავშორდით „ზიმბრუს“ დამრიგებელს. მხოლოდ საქართველოს მარად ჩემპიონზე ფიქრით და არა ჩემპიონთა ლიგაზე... ამდენს ველარ წვდება ჩვენი გონება. ვერაფერს იზამ, დროა ასეთი.

**ხვიჩა სანიკიძე**



ნუგზარ კაითლაძის ფოტო

გახსოვთ, იგორ ოპრეა?

ერთი ბელგიელი, მეორე ბრაზილიელი. ერთი ქერა, ლამის ალბინოსი, მეორე ჩვენში რომ შავტუხას ეტყვიან, ისეთი. ერთი მეკარე, მეორე თავდამსხმელი. ერთი დენიტ დონდტი, მეორე ანდრე სილიუ დე სოუზა. დღეს ორივე თბილისშია, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. ორივე დღევანდელი, კიშინიოვის „ზიმბრუსთან“ მატჩისთვის ემზადება. და კიდევ, ბელგიელი 35 წლისაა, 10 სეზონამდე ბელგიურსავე „ლოკერენში“ უთამაშია, ბრაზილიელი ახალგაზრდა, 23 წლის, ბრაზილიური „გუარანისა“ და ჰოლანდური „ჰერენვენის“ სკოლაგავლილი. აი, მოკლედ ესაა, რაც თბილისის დინამოელთა ლეგიონერებზე ითქმის. დანარჩენს ამ საღამოს და მომავალში ვნახავთ. მანამდე კი ორივეს უფრო ახლოს გასაცნობად დიღმის ბაზაზე გავესაუბრეთ.



გოგა ჩანადირაშვილის ფოტო

დენიტ დონდტი და ანდრე სილიუ დე სოუზა

# დინამო გაიზარდა და გაფერადდა

## დონდტი და დე სოუზა: თბილისელთა ქერა და შავტუხა ახმახები

ანდრე სილიუ დე სოუზა

**— გაიგეთ, რომ ევროპაში, ჰოლანდიაში თამაშობდით. „დინამომ“ კი ბრაზილიული „გუარანიდან“ მიგიწვიათ. ევროპაში ჩამოსული ამერიკაში რატომ დაბრუნდით?**

— ჰოლანდიურ „ჰერენვენში“ ადრე ვთამაშობდი. მერე მათთან კონტრაქტი დამიმთავრდა, ევროპის არც ერთმა კლუბმაც არ მიმიწვია და რაღა დამრჩენოდა, ისევ სამშობლოში გავაგრძელე კარიერა, სხვათა შორის, ბრაზილიაში „გოიასის“ ღირსებასაც ვიცავდი.

**— „დინამოში“ როგორ აღმოჩნდით?**

— ერთი შუამავლის დახმარებით. მან მითხრა, „დინამო“ ახლა ჰოლანდიაშია, იქნებ ჩახვიდე, მათთან ივარჯიშო, არაფერს წააგებო. ბევრი არც მიფიქრია, გუნდს შევუერთდი, რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ვითამაშე „დინამოს“ მაისურით და, აგერ, ახლა თქვენს წინაშე ვარ.

**— რას თვლით თქვენს, როგორც ფეხბურთელის, ღირსებად?**

— თავითაც კარგად ვთამაშობ, ორივე ფეხითაც. უმთავრესი კი, ჩემი აზრით, მაინც ფიზიკური მონაცემებია, რის ხარჯზეც ორთაბრძოლებისას მცველებს კარგად ვუმკლავდები. თუმცა ახლა ცოტა უვარჯიშებელი ვარ, თუ თავი ვერ მოგაწონეთ, ამის ბრალი იქნება. ისე, იმედი მაქვს, „ზიმბრუსთან“ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დამთავრდება.

**— ახალ გუნდზე რა აზრის ხართ?**

— მშვენიერი გუნდია, რომელშიც კარგი ფეხბურთელები თამაშობენ. რამდენიმე დღეში დავრწმუნდი, რომ ძალიან ტექნიკურები არიან და, რაც მთავარია, ბიჭებმა თბილად მიმიღეს, ყველა ერთმანეთის მეგობარია. „დინამო“ რომ კარგი გუნდია, ამაშიც ჩანს.

**— აშვეთიაზე რას იტყვით. ამხანაგური თამაშებისას თავდასხმაში თქვენი მეწყვილე ის იყო.**

— ეტყობა, ძლიერი ფეხბურთელია. ჯერ სულ რამდენჯერმე ვითამაშეთ ერთად. უკვე ვიცი, რა მომენტში, რას გააკეთებს, ალბათ, თვითონაც ასე ფიქრობს.

**— სხვა თავდამსხმელები?**

— აქამდე მხოლოდ აშვეთიასთან მითამაშია.

**— „დინამოსთან“ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ისევ ბრაზილიაში უნდა დაბრუნდეთ?**

— არა, რატომ? იმედი მაქვს, სხვა ევროპული გუნდი მიმიწვევს.

დენიტ დონდტი

**— „ლოკერენს“ „დინამო“ რატომ არჩიეთ?**

— მომბეზრდა და იმიტომ. ძალიან დიდი ხანია, ბელგიის „ლოკერენში“ ვთამაშობ. ჩავთვალე, რომ სჯობდა სხვა ქვეყანაში გადავბარგებულიყავი. ბელგიური კლუბები — „აალსტი“ და „ვესტერლო“ თავისთან კი მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფულის გადახდა არ უნდოდათ. ამასობაში კარგა ხნის ნაცნობმა იოჰან ბოსკამპმაც დამირეკა, „დინამოში“ თამაში შემომთავაზა. ცოტა დავფიქრდი და რამდენიმე დღის წინ საბოლოოდ გადავწყვიტე — ქართულ გუნდში გადმოსვლა ყველაფერს აჯობებდა. საქმე იმანაც გააიოლა, რომ „დინამოს“ ბელგიელთათვის არაფერი ჰქონდა გადასახდელი.

**— ბოსკამპის ხელმძღვანელობით აქამდე თუ გითამაშიათ?**

— არა, თუმცა ხომ გითხარით, მწვრთნელს კარგად ვიცნობ. როცა იგი „ანდერლეხტსა“ და „გენტს“ წვრთნიდა, მე მეტოქე გუნდის კარს ვიცავდი. ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ძალიან ძლიერი სპეციალისტია, თავის საქმე მშვენივრად იცის, სხვა სიტყვას ნუ გააგონებთ, მას მხოლოდ მოგებაზე უნდა ელაპარაკოთ. როცა დამიკავშირდა, მეც ეგ მითხრა, ორი საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა დავძლიოთ და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოვხვდეთო. ბოსკამპი მუდამ მოსაგებადაა შემართული. მჯერა, თავისას მიაღწევს. „დინამოს“ თამაშები ადრე ნანახი არ მქონდა, მაგრამ ამ ერთი კვირის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ბოსკამპი მათ სხვანაირ ფეხბურთს აჩვევს, ეგ კი არა, თავიდან მეც გამიკვირდა, რაღაც ახლებური სისტემით თამაშს ამჯობინებს.

**— მერე?**

— დაცვაში გვაქვს პრობლემები, თუმცა „ზიმბრუ“ თუ დავამარცხეთ, მერე ყველაფერი კარგად იქნება, უკეთ შევეწყობით. ჩემი და დე სოუზას გარდა, გავიგე, ბოსკამპს კიდევ ბევრი ახალი ფეხბურთელი მოუყვანია.

**— ყველაფერთან ერთად მეკარეს კარნახიც უნდა შეეძლოს, თანაგუნდელებს უკეთესი პოზიცია მიუთითოს. თქვენ კი ქართული არ იცით, ესეც ხომ პრობლემაა.**

— რა თქმა უნდა. ამასაც დრო სჭირდება. ჯერ ყველა თანაგუნდელის სახელიც არ ვიცი. იმედია, „ზიმბრუსთან“ როგორმე გავიმარჯვებთ, პსვ-მდე კი ესეც მოგვარდება. ან მე ვისწავლი საჭირო ქართულ სიტყვებს, ან... მთავარი „ზიმბრუა“.

**— როგორ ფიქრობთ, რა ნაკლი გაქვთ?**

— როგორც მეკარეს?

**— დიახ. რა თქმა უნდა.**

— ფეხით თამაში მიჭირს, თუმცა ჩემი გამოცდილების ხარჯზე პოზიციას კარგად ვარჩევ, ეგ ნაკლიც არ ჩანს. რეაქცია კი, ნუ იფიქრებთ თითქოს თავს ვიქებდე, მართლაც კარგი მაქვს.

**— იდეალურ მეკარედ ვინ მიგაჩნიათ?**

— მიშელ პრიუდომი. ისე, პეტერ შმეიხელს ვგავარ... გარეგნობით. ფეხით კი, შმეიხელზე კარგად მოთამაშე მეკარე ჯერ არ მინახავს.

**— ქართველ მეკარეებზეც გვითხარით და მოვრჩეთ.**

— იცით, „ზიმბრუსთან“ ანაც პსვ-სთან შედეგის მიუხედავადაც მე თბილისში დავრჩები, ისევ „დინამოში“ ვითამაშებ და ექვსი თვის შემდეგ, როცა საქართველოდან წავალ, ნახავთ, „დინამოში“ როგორი მეკარეებიც იქნებიან. ისინი ნიჭიერები არიან, ნიჭიერი კაცი კი თავისას ყოველთვის მიაღწევს. ერთი კვირა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამაში დავრწმუნებულიყავი. ბოსკამპსაც იგივე აზრი აქვს, მათ გამოცდილება აკლიათ და შენ ამიტომ გთხოვე „დინამოში“ თამაშიო, მითხრა მწვრთნელმა. ახლა კი, როცა დრო აღარ ითმენს, ვფიქრობ, გამოცდილი მეკარის ფასი არაფერია. იმედი მაქვს, „ზიმბრუსთანაც“ და შემდეგაც ბევრჯერ გაგახარებთ.

**კობა ინასარიძე**

# სიყვარული ნაკრების გულში

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს შვედეთში ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ლაშა ჯაკობიას სახით დიდი ძალა გამოაკლდა. ნაკრების მწვრთნელი, ვახტანგ კოპალეიშვილი შვედეთში წასვლამდე და მერეც ერთთავად იმას ამბობდა, ჯაკობიას არყოფნა გუნდისთვის იგივეა, რაც ჩვეულებრივი ადამიანს გული ამოაცალოო.

ეს რომ ასეა, ნაკრების მეკარის, ზურაბ ბათიაშვილის სიტყვებიც დაგარწმუნებთ — ლაშა რომ გვყოლოდა, სულ სხვა გუნდი გვეყოლებოდაო.

და თუ რატომ ვერ დაეხმარა იგი თანაგუნდელებს შვედეთში, იცით. ფეხის ტრავმა, რომელსაც ჯაკობია მანამდე ყურადღებასაც არ აქცევდა, სწორედ მაშინ გაუმიზეზდა, როდესაც... თუმცა ლაშა თავს არ ზოგავდა, როგორც შეეძლო, მხარში ედგა გუნდს, ვახტანგ კოპალეიშვილიც ვერასოდეს დაივიწყებს მის ამაგს. ბატონმა ვახტანგმა თავადვე განაცხადა — ჩეხეთთან ორივე მატჩში ლაშამ, ფაქტობრივად, ცალფეხამ ითამაშაო. პიროვნულად კი იგი ჯაკობიას ასე ახასიათებს — ვაჟკაცი და კეთილი ბიჭიაო...

დღეს რა ხდება? ღვთის მადლით, ლაშამ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა, მანამდე შევიტყვეთ, რომ იგი დაოჯახებას აპირებს.

— თქვენ საიდან გაიგეთ? კი ვფიქრობ, მაგრამ ჯერჯერობით არა, რადგან...

**— კარგი, მაგრამ ის მაინც გვითხარი, როგორ ხარ, ფეხი როგორ გაქვს?**

— არა მიშავს. მადლობა ღმერთს, ფეხი ნელ-ნელა მირჩება. ახლა, პირველ აგვისტოს, ლიეჟში მივფრინავ და საბოლოო სამკურნალო კურსს ჩავიტარებ. „სტანდარდის“ ექიმებმა სექტემბრამდე ბურთთან მიკარებაც კი ამიკრძალეს, არავითარი ვარჯიშში არ დაიწყოო — მითხრეს. ოქტომბერში კი, ალბათ, ვითამაშებ კიდეც. თამაში ძალიან მომენატრა და ერთი სული მაქვს, როდის შევეხები ბურთს.

**— „სტანდარდთან“ ახლახან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

— დიახ, ასეა. თავად მოვისურვე. მინდა, „სტანდარდში“ ჩემი სიტყვა ვთქვა.

**— მერედა, შარშანდელივით ხომ არ მოგივა — გუნდის მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი ისევ სათადარიგოთა სკამზე ხომ არ დაგსვამს?**

— იმედი მაქვს, რომ ახლა უკვე ვითამაშებ „სტანდარდის“ ძირითადში. ბელგიელებს რომ არ ნდომებოდათ, პირველ გუნდში, ალბათ, არ გადამიყვანდნენ.

*...ბოლოს ლაშა ჯაკობიამ მაინც ვერ მოითმინა, მოგვიტრიალდა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით მკითხა, მაინც, საიდან გაიგეთ, რომ ცოლს ვირთავ, ვინ გითხრათო.*

**გიორგი მაზაძიძე**


ბადრი კეთილაძის ფოტო

ლაშა ჯაკობია

# კარნევალესა და ხურცილავას გაცვლა

## არჩვაძე — ბათუმში, რუსია — ლოკომოტივში

— **ნურავის** ეგონება, რადგან ჯანი კარნევალემ „ბათუმიდან“ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი დაითხოვა, გუნდი დაკარგავს თავის სახეს, „ბათუმში“ მათ გარდა საკმაოდ დარჩნენ მოთამაშეები, ვის მხრებზედაც არაერთმა მძიმე სეზონმა გადაიარა — ამირან მუჯირი, თემურ ტუღუში, ზვიად პაპიძე, მალხაზ მახარაძე, ვანო მახარაძე ის ხალხია, რომლისაც „ბათუმს“ ეიმედება, გელა ქორიძე და ზურაბ არჩვაძეც კარგად შეეწყვნენ გუნდს. ამათ დავუმატოთ ის ახალგაზრდები, რომლებსაც კარნევალემ ფართო გასაქანი მისცა და ესეც ჩვენი „ბათუმი“. სიმართლე გითხრათ, მივესალმები კარნევალეს მოქმედებას. გუნდს კარგა ხანია, სჭირდებოდა „ახალი სისხლი“. ხელმძღვანელებიდან დაწყებული ყველას მათი იმედი გვაქვს — გვითხრა გუშინ „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ, როდესაც ბათუმში შევეხმიანეთ.

როგორც პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრისას გაირკვა, იტალიელმა კარნევალემ, ფაქტობრივად, დაასრულა გუნდის ფორმირების პროცესი. ბოლო ფეხბურთელი, რომელსაც „ბათუმის“ დატოვება მოუხდა, თავდამსხმელი მამუკა რუსია გახლავთ. იგი მურთაზ ხურცილავამ წაიყვანა თავისთან „ლოკომოტივში“. შეიძლება ითქვას, ზღვისპირელთა და რკინიგზელთა ხელმძღვანელებმა ბარტერული გაცვლა მოაწყვეს — ექსლოკომოტიველი მცველი ზურაბ არჩვაძე ახლა უკვე ექსბათუმელ მამუკა რუსიაში გაიცვალა.

ზემოთ გუნდის ფორმირების პროცესი ვახსენე. ასეცაა, კარნევალემ უკვე შეარჩია ის ძირითადი ბირთვი, რომლის იმედზე ყოფნაც მოუწევს მოახლოებულ XI ჩემპიონატში. მან ისიც განაცხადა, გუნდში 22 ფეხბურთელი დარჩებაო და... ასეც მოიქცა.

როგორც იცით, ბათუმელებმა ბოლო ამხანაგური საკონტროლო მატჩი სამტრედიის „იბერიასთან“ გამართეს და 5:1 მოიგეს. ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, გუნდი სოლიდურად უნდა გამოიყურებოდეს, მაგრამ კარნევალეს „ბათუმში“ ჯერაც ბევრი სამუშაო რომ აქვს, ესეც ფაქტია. ბათუმელთა მომდევნო სპარინგ-პარტნიორი ყვავილნარში შეკრებაზე მყოფი ხურცილავას „ლოკომოტივი“ იქნება. გუნდები 31 ივლისს ბათუმში გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

„ტრაბზონსფორის“ და „რიზესფორის“ შესაძლო საკონტროლო ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა. მის სანაცვლოდ ზღვისპირელები, სავარაუდოდ, 4 ან 5 აგვისტოს, კვლავ ფოთის „კოლხეთს“ შეხვდებიან, მაგრამ სად, ფოთში თუ ბათუმში, ჯერაც უცნობია.

**გიორგი მაზაძიძე**



თემურ ქეცბაია (№9) ერთბაშად ოთხი ბერძენის ალყაში

ბადრი კეთილაძის ფოტო

# წამი, რომელიც მთელი ცხოვრებაა

**საქართველო...** კატაკლიზმებისა და კათარზისების ქვეყანა. ქვეყანა, სადაც არავის არაფერს პატიობენ, არავისი არაფერი ავიწყდებათ და ცდილობენ, კარგშიც ცუდი დაინახონ. შენდობას არავინ უთვლის არავის. ქვების სასროლად კი უამრავია მზად.

ქვეყანა, სადაც არ უყვართ რაინდები და პირიქით, ჭკუას კარგავენ გმირებზე იციან, რაც არის გმირობა, ესმით, ვინ არის გმირი და მაინც, ყველა გამომვლელს გმირობას სთხოვენ.

ქვეყანა, სადაც ან ხარ გმირი, ან, დამნაშავე და თუ უხმაურო ცხოვრება გინდა, გინდა, არავის შეეჩხირო თვალში, ნერვი და ძარღვი არავის მოუშალო, უნდა მატლი იყოს, ჭუპრი, რომელიც ფიქრსაც ვერ ბედავს პეპლად გახდომაზე.

საქართველო... ქვეყანა გზებით დაქსელილი. გზები უამრავი, გზამრუდე და გზამართალი, რამდენიც აღმართი, დაღმართიც იმდენივე და თითო გზაზე ათასი, ათიათასი შემმოწმებელი და კირკიტი, კირკიტი — იცი კი, საით მიდიხარ? გესმის კი, სად მიგიყვანს ეს გზა? ათასი, ათიათასი მასწავლებელი და ყველას თავისი გზა ჰგონია ერთადერთი.

ქვეყანა, სადაც კასტებად იყოფა სისხლი, გენი, გემოვნება, უბანი, პურის მაღაზიაც კი...

ქვეყანა, სადაც ფეხბურთი და ფეხბურთელიც კასტურია და სადაც გემოვნებაზე დაობენ.

განა მარტო გემოვნებაზე, დაობენ ყველაფერზე, რაც არსებობს და რაზეც დავა შეიძლება. დავობენ იმაზე, თუ რატომ არ არის საქართველო ამერიკის შტატი და არანაკლები სიცხარით არჩევენ საკითხს იმის შესახებ, რომელი ხე უნდა შრიალებდეს სულში და რუსთაველის გამზირზე — ჭადარი თუ აკაცია.

ერთი სიტყვით, დაობენ, ერევიან, ჩაჰკირკიტებენ და თუ მიზეზი მიეცათ, ესვრიან, როგორ არა — ტალახს, ქვას, გუნდას, ტყვიასაც, რა თქმა უნდა.

ძნელია ამ ქვეყანაში თავის გატანა, ლელოს გატანა და საერთოდ, ვინიმე ან რაიმეს გატანა.

მაგრამ ჭუპრად ყოფნა უფრო ძნელია და იბადებიან მამაცები — უბრალოდ, კაცები.

ამოდენა შესავალიც მისთვის დამჭირდა — ერთი უბრალო ბიჭისთვის. ბიჭისთვის, რომელიც კაცი გახდა, რომელიც ალბათ, ცხოვრებამ შეცვალა, მაგრამ ვერ შეცვალა ფეხბურთთან მიმართებაში.

პირველად მიწევს ქეცბაიაზე რიგიანად წერა. აქამდე თუ დამიწერია, მოკლედ და მწარედ, მაგრამ ეს არ იყო ჩემი ბრალი — ეს საქართველოს ნაკრების ცუდი თამაშის ბრალი იყო. „შინდისფერები“ ცუდად თამაშობდნენ და ამ დროს ჭაობის ფსკერზე მარგალიტების საძებნელად არავის ეცალა. უბრალოდ, ნაკრების უსუსურობის ფონზე ქეცბაიას თავგამოდება ცუდი ნუგეში იყო.

მაგრამ ჩემი მიზანი მაშინდელ ნიუანსებში ძიება არ გახლავთ. პირველად ვწერ თემურზე და მინდა, დავწერო ის, რაც მომწონს ამ ფეხბურთელში — ხასიათი და კარიერა.

იგი პროვინციაში შენიშნეს. არსებობდა, როგორც ბევრი სხვა, დაიბარეს დიღმის ბაზაზე. თბილისში დაბადებულმა ფეხბურთელმა არც კი იცის, თავისი თბილისელობით რამდენით წინ დგას პროვინციიდან ჩამოსულ თანატოლზე. მისთვის დიღმის ბაზა, სტადიონი და სხვა ამგვარები ისეთივე უბრალო რამეა, როგორც, ვთქვათ, რუსთაველის ძეგლი ზემელზე, ანაც ფუნიკულიორი მთაწმინდაზე.

თემურ ქეცბაია კი ისე ჩამოვიდა თბილისში, ისე უნდა ეთამაშა „დინამოში“, არც იცოდა, სად იყო დიღმის ბაზა.

მიაგნო „დინამოს“ ბაზას და როგორც ამ, აგერ უკვე თხუთმეტწლიანი გადასახედიდან ჩანს, თავის თავსაც მიაგნო ცხოვრებაში.

უფრო ზონინის გუნდიდან მახსოვს. ზონინის „დინამო“ — „დინამო“ არა საუკეთესო, არა გადასარევი, მაგრამ წინამორბედზე უკეთესი. „დინამო“ — გუნდი, უფრო ახალგაზრდული და ჩივაძის, გაბელიას, სულაქველიძის, შენგელიას დაბრძენებულ ფეხბურთთან შეხამებული მეცხრე ტალღასავით მოვარდნილი ბიჭური დუეტი, ქეცბაია და ფანცულაია, ბიჭები, ალბათ, სულ მთლად ბავშვები, მაგრამ უკვე ძალა, იმათვითვე ეტყობოდათ, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებდნენ და თუ ფანცულაიამ ვერა, ქეცბაიამ ითამაშა.

ითამაშა იმიტომ, რომ გაუძლო, გაუძლო ყოველივე იმას, რაზეც წერილის დასაწყისში ვთქვი და რასაც საქართველო იტევს.

ამიტომაც უფრო მინდა მასზე წერა. ამ ხასიათის გამო, გამძლე ხასიათის გამო მინდა, ვწერო თემურზე.

მისი ტრანსფერი „ანორთოსისში“ „დინამოს“ (მაშინდელი „იბერიის“) ერთ-ერთი პირველი ტრანსფერი იყო. ხმაურიც მოჰყვა ამ გარიგებას, მაშინ პოლიტიკა წყვეტდა ყველაფერს და რახან ქეცბაია რუსეთის გუნდშიარ მოხვდა, „იბერია“ — „ანორთოსისის“ ტრანსფერი წარმატებულად ჩაითვალა.

კვიპროსიდან კი კანტიკუნტად ისმოდა ამბები. თანაც დააკვირდით, ეს ის დროა, როცა... ერთი სიტყვით, ყველა მაშინდელი გამონათქვამი ოთხ სიტყვაში იყრიდა თავს — ქართველს კვიპროსში რა უნდა. აღმოჩნდა, რომ უნდა და ეს ქეცბაიამ დაამტკიცა.

იგი ამას ამტკიცებს მთელი თავისი კარიერით. კარიერით, რომელმაც არ იცის ჩავარდნა, არ იცის დაღმასვლა და თუ გუნდებს იცვლიდა ქეცბაია, მხოლოდ უკეთესებში გადადიოდა. მართალია, ბევრი არ უხეტიალია, მაგრამ მისი სამი გუნდიდანაც კარგად ჩანს წარმატებული კარიერა: „ანორთოსისი“, აეკ, „ნიუკასლი“.

„იბერიას“ კი არ შევეხები. „იბერია“ ქართულია. საქარველოში კი ან ეროვნული გმირები თამაშობენ, ან „გასაყიდები“ (უკვე ბრაზილიელიც?!)...

თემურის ყველა ტრანსფერი როგორღაც გასაიდუმლოებული იყო. მათ არ [illegible] დიდი [illegible] გუნდების, ფეხბურთელის შემოსავალ[illegible] [illegible] — ქეცბაია [illegible] და და მორჩა...

„ანორთოსისში“, რაც კვიპროსს შეჰფეროდა, იმას მიაღწია თემურმა, 1:5 წაგებულ მატჩში გოლი გაუტანა „იუვენტუსს“ და აეკ-ს მიაშურა.

საბერძნეთშიც გამოარჩიეს. პსჟ-სთან კი ისეთივე ლიდერი იყო აეკ-ისა, როგორიც „ანორთოსისისა“ „იუვენტუსთან“. პარიზში 0:0 და... ქეცბაიაზე ევროპაშიც ალაპარაკდნენ.

რაც გინდა, თქვი და ყველა კაცის ბედი წინასწარ ნაწერს ჰგავს. ზოგი გვირისტივითაა, ზოგიც აბლანდულჩახლართული, მაგრამ ნებისმიერ ცხოვრებას, როგორც წიგნს, როცა გადაიკითხავ, აუცილებლად, შენიშნავ კანონზომიერებას — ადამიანი წამიწამ, წუთიწუთ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის იქით, საიდაც უნდა მიდიოდეს.

ასე მიიყვანა ქეცბაია კარიერამ და ბედის ვარსკვლავმა „ნიუკასლში“, სადაც იმთავითვე ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, არც სხვების ბრწყინვალება დაუჩრდილავს, თუმც ერთი დაჰკრა ბურთს ხორვატულ „კროაციასთან“ და ეგრევე „ნიუკასლ იუნაიტედის“ ისტორიის კუთვნილება გახდა.

თქვა კიდეც დალგლიშმა თუ ვიღაც მისნაირმა — ამიერიდან თითიც რომ არ გაატოკოს ქეცბაიამ, იგი „ნიუკასლის“ ისტორიაში შევიდაო...

ასე იყო წამი — მთელი ცხოვრება. ეს ის წამი იყო, რომელმაც შეიძლება ქეცბაიას მთელი კარიერა აიწონოს. გავა დრო და არავინ დაითვლის თემურის გოლებს, მატჩებს. იტყვიან და გაახსენდებათ — მისმა გოლმა „ნიუკასლი“ ჩემპიონთა ლიგაში მოახვედრაო და მორჩა.

მორჩა და ეგებ ამით დაიწყო კიდეც...

სულ სხვანაირადაა საქმე ნაკრებში. თემურ ქეცბაიამ კონფლიქტური ლეგიონერის სახელი დაიგდო, ყველაფერს ნაკრების წინა მწვრთნელ გუცაევთან გვარიანი უთანხმოებაც მოჰყვა და გუნდმა თემური მოისაკლისა.

თურმე ლიდერიც...

ეს ახლა დადასტურდა, საბერძნეთთან თბილისურ მატჩში. როცა მინდორი და ბერძნები ერთად აიკლო ქეცბაიამ. მისი თამაშიდან გამომდინარე, რამდენიმე ჟურნალისტმა „სარბიელის“ გამოკითხვაში კორექტივების შეტანა და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად ნიუკასლელის დასახელება მოინდომა ზაზა ჯანაშიას მაგიერ. მესმის ამ ხალხის. იმ წუთში გულშემატკივრული ვნებები არცერთს მოსწონლია, თემურ ქეცბაიას სახით იმ დღეს მინდორზე მუშაობდა თავისი საქმის პროფესიონალი.

და ამავე დროს იმ მუშაობას ქართველი ფეხბურთელის ხიბლიც ზედ ეცხო. გოლიც შთამბეჭდავი გაიტანა, თუმცა არა გადამწყვეტი და დასამახსოვრებელი, ვთქვათ, ისეთი, როგორიც კლუბებში თამაშისას „იუვეს“ ან „კროაციას“ გაუტანა.

არადა, გვინდა კი... გვჭირდება კი... ველით კი.

ვთქვი უკვე, საქართველოში ცუდს უფრო ითვლიან. მოვა მავანი და საბერძნეთთან ისტატურად გატანილს კი არ გაუხსენებს ქეცბაიას, როგორ იყო ნორვეგიასთან 0:4-ზე, შესვენებაზე, გასახდელიდან რომ წახვედიო, ამას იტყვის.

იტყვის, წამოისვრის ტალახივით და ეძიე მერე... სდიე მერე.

ისე მოხდა, საქარველოს ამ ნაკრების ლიდერი ქეცბაიაა. უცხოელი ბოსკამპიც მეორე მწვრთნელივით იყენებს თემურის ავტორიტეტს, გამოცდილებას და სამსახურს.

ამ თაობას კი ერთი შანსიღა დარჩა — ერთდროულად უდიდესიც და უკანასკნელიც — 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, ერთი, ერთადერთი გზა. გზა მრუდიც და მართალიც, გზა — თითქოს ახლოც და შორეულიც, ადვილიც და რთულიც.

მერე კი, მერე ეგებ ისიც ითქვას, ქეცბაიამ საქართელოსთვისთვისაც გაიტანა ისტორიული ბურთიო. და მაშინ დადგება წამი, რომელიც „ანორთოსისის“ და „ნიუკასლის“ წამებსაც აიწონის.

ეს სხვა წამი იქნება. წამი — რომელიც მთელ ცხოვრებას უდრის.

მანამდე კი კვლავ დიდი გზაა სავალი.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# გვარამაძეს ლადამ თვალი მოსჭრა, ფოფხაძეს კი ნერვები მოუშალა



გაიზო კაპანაძის ფოტო

დავით გვარამაძე

ზაზა ჯანაშიას „მერსედესის" ჯიპსა და გიორგი ქინქლაძის „იაგუარს" ვერ შეედრება, მაგრამ ვაზ 2110-ს ქართველების დასაწუნი არაფერი სჭირს. რუსული მანქანათმშენებლობის ეს პირმშო ტოლიატის საავტომობილო ქარხნის ბოლო მოდელია და წინამორებდებისგან აშკარად გამოირჩევა. ჰოდა, ვისაც მისი ყიდვის საშუალება არა აქვს, დამეთანხმებით, მოსაგებად თავს არ დაზოგავს. მოგება კი მხოლოდ ლატარიაში ჰკიდია იღბალზე და არა ფეხბურთში.

შაბათ-კვირას, ტოლიატში „ტორპედოს" სტადიონის სარბენ ბილიკებზე ამაყად იდგა ახალთახალი ვაზ-2110 და მეპატრონეს ელოდა. მისმა ბრწყინვალებამ კი ოთხი გუნდის ფეხბურთელებს დაუკარგა მოსვენება. 30 წელი გასულა მას შემდგომ, რაც ტოლიატის საავტომობილო ქარხანაში პირველი საფეხბურთო კლუბი ჩამოყალიბდა და იქაურებმა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ოთხგუნდიანი ტურნირი მოაწყვეს. რუსეთის ჩემპიონატში მობურთალი ქართველობაც არ დააკლდა ამ იუბილეს.

მეკარე დავით გვარამაძის, ზურაბ ფოფხაძის, ზურაბ წიკლაურის, ლაშა მონასელიძის უმაღლესდივიზიონელი სამარის „კრილია", მეკარე ზურაბ ქვაჩახიას, ზვიად და გიზო ჯელაძეებისა და მიხეილ ჯიშკარიანის პირველდივიზიონელი სარატოვის „სოკოლი", ამავე დივიზიონის ბინადარი „ლადა-სიმბირსკი" და მეორედივიზიონში მოასპარეზე ტოლიატის „ლადა" — ეს ოთხი კლუბი ეცილებოდა ერთმანეთს მთავარი პრიზის მოპოვებისთვის.

წილისყრამ ქართველები ერთმანეთს დააჯახა. 35 გრადუს სიცხეში ჩატარებული შეხვედრა „კრილიამ" 1:0 მოიგო და ფინალში გააღწია.

საღამოს გამართული „ლადა" — „ლადა-სიმბირსკის" მატჩი ერთობ დაძაბული გამოდგა. ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 მორჩა. პენალტების სერიაში ტოლიატელებმა 4:2 იმარჯვეს.

კვირას მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „სოკოლმა" 3:1 დაამარცხა სიმბირსკელები. შემდეგ „ტორპედოს" სტადიონმა ფინალს უმასპინძლა.

საფინალოდ მასპინძლებმა საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანეს. სამარელებმა კი ახალწვეულებს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. მათ შორის ორ ჩვენებურს — დავით გვარამაძესა და ლაშა მონასელიძეს. როგორც იცით, თბილისის „დინამოსგან" ათვალწუნებული მეკარე გვარამაძე ერთი თვის წინ რიგის „სკონტოდან" გადაბარგდა „კრილიაში". მონასელიძეს რაც შეეხება, იგი თავის დროზე თბილისის ასკ-სა და ფოთის „კოლხეთის" ღირსებას იცავდა. რუსეთში გადახვეწილმა კი რამდენიმე იქაური კლუბი მოიარა.

ფინალში მონასელიძემ გოლის გატანა შეძლო და მასპინძელი ემელიანოვის 17-ე წუთზე გატანილი გაათანაბრა, მაგრამ სულ ეს იყო. „ლადამ" ამის შემდეგ ოთხჯერ დალაშქრა გვარამაძის კარი და „კრილია" 5:1 გაანადგურა.

არადა, სამარელებს ნამდვილად არ სურდათ ასე იოლად ვაზ 2110-ის დათმობა. მეორე ტაიმში „კრილია" ძირითადის ფეხბურთელებით ეკვეთა მასპინძლებს. მათ შორის გუნდის მცველი ზურაბ ფოფხაძე და თავდამსხმელი ზურაბ წიკლაურიც გახლდნენ. ამ დროისთვის ანგარიში 4:1 იყო. შეხვედრის დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. მეორე ნახევრის პირველი წუთებიდანვე დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. კრასნოდარელმა მსაჯმა სტიპიდმა სამი ყვითელი და ამდენივე წითელი ბარათი აუფრიალა ფეხბურთელებს. 46-ე წუთზე გაფრთხილებულ ფოფხაძეს მატჩის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე არბიტრმა მოედანი დაატოვებინა.

ხუთი გაშვებულიდან გვარამაძეს ორი თეთრმეტმეტრიანის ნიშნულიდან გაუტანეს.

ფინალისტებს თასებთან ერთად უამრავი ფასიანი საჩუქრები დაურიგდათ. აი, მთავარმა პრიზმა კი შორს წასვლა არ ინება. ვაზ-2110 მშობლიურ ქალაქში დარჩა.

**ხვიჩა სანიკიძე**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ.ციქაძე (თბილისი), ა.მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), ქებაძე (ლოკომოტივი) მ. მაჭავარიანი, შ. ჩომახიძე, გოგიჩაიშვილი (?) | ს.გოგაძე, ვ.გოგიაძე (იბერია), გ.შენგელია (სამგურალი), ქიქველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), ხიზანეიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დე სოუზა (გუარანი, ბრაზილია), დონდტი (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ბათიაშვილი, ქემოკლიძე, გ. მიქაძე, ო. გველესიანი, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდემი (ჰოლანდია) 1:0:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტარნ ვეიდი (ჰოლანდია) 2:1, კოლმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფენჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშ-ვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია შ. ხუჯაძე (?) | ტრაპაიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ალანაძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი), არსოშვილი (შერიფი, მოლდოვა), რუსია (ბათუმი), ქებაძე (დინამო) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, კოლხეთი 2:1 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ქიქველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულევჯიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე (?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი.ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, თსუ 6:4 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (დინამო), ჩლაიძე (თბილისი), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), ბურნაძე (ვანსფორი, თურქეთი), მახვილაძე (ტორპედო), ალანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, დარსაძე (იბერია), გ. კილასონია (?) | მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე, კაკაბაძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე (სამგურალი-2) | ტორპედო 0:3 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (არსენალი), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე, ჩალაძე (?) | დ. ჩიგოშვილი (ლარნყალი), ფოფხაძე (ივერია) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ხიზანეიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ჩლაიძე (არსენალი), ვერემჩუკი (ბათუმი), ბათიაშვილი ზ. ხიზანიშვილი (დინამო), ლ. ბერიშვილი (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლიერსი (ბელგია) 1:1 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი, ჩადუნელი (?) | მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი (გურია), მგელაძე (მერცხალი) | თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, ბათუმი 1:4, 1:0, ლოკომოტივი 1:2 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ბ. ამბიძე (?, ისრაელი), გ. კვეტენაძე, დ. ჭელიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ნ. ყიფიანი, ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, თბილისი 2:2, ჭაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | სგოგიაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე, გ. დოლიძე, ვარდიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე, დარსაძე (სამგურალი), ასათიანი (ტორპედო 2), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე, თ. მაღლაკელიძე (ფაზისი), ქვანია (ოკეანე), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია) | კოლხეთი 0:3, ლოკომოტივი 0:0, ოდიში 1:1, ბათუმი 1:5 |
| **დილა** *მურაზ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), რ. ახალკაცი (?, ბულგარეთი) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი (ლარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), ჭუმბურიძე, გაბელია (?) | ახალაძე (სამგურალი), ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. არჩვაძე (ნივა, ვინიცა, უკრაინა), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმინია ამატორი, გერმანია) | გარეჯი 13:0, ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | ონიანი (ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა), ლ. გვაზავა (?) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# ფილიპო ინძაგი როსტოვში



სარბიელის არქივიდან

ინძაგის დებიუტი ინტერტოტოს თასზე როსტოვში, „როსტსელმაშთან" შედგება

**ფილიპო** ინძაგი, იტალიის 1996-97 წლების ჩემპიონატის ბომბარდირი და ტურინის „იუვენტუსის" თავდამსხმელი, ინტერტოტოს თასის ნახევარფინალში, რუსეთის „როსტსელმაშის" წინააღმდეგ ითამაშებს.

„იუვენტუსი" ინტერტოტოს თასის გათამაშების მესამე წრეში რუმინეთის „ჩაჰლაულის" დამარცხების შემდეგ ნახევარფინალში „როსტსელმაშს" ხვდება. პირველი შეხვედრა დღეს როსტოვში გაიმართება, საპასუხო კი ერთ კვირაში ჩეზენაში.

ტურინული კლუბის მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის არ დაუსახელებია ის შემადგენლობა, რომელსაც როსტოვში ათამაშებს, თუმცა ის კი განაცხადა, რომ კლუბის ღირსებას აუცილებლად დაიცავენ ანტონიო კონტე, ფილიპო ინძაგი და პაოლო მონტერო. არც ერთ მათგანს „ჩაჰლაულის" წინააღმდეგ არ უთამაშია.

იტალიელები კვლავ შატინიონში ემზადებიან ახალი სეზონისთვის. რამდენიმე ამხანაგურმა შეხვედრამ მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებთან ანჩელოტის დაანახა, რომ ინძაგი, კონტე და მონტერო უკვე მზად არიან სათამაშოდ. ტურინელებს რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარება აქვთ დაგეგმილი.

ანჩელოტის თქმით, „იუვენტუსმა" ორი ფეხბურთელი გაასხვისა — ამეტრანო „კალიარიში" გადავიდა, პეროტა კი სანახევროდ „ბარის" კუთვნილება გახდა.

— „როსტსელმაში" უფრო სახიფათოდ მეჩვენება, ვიდრე „ჩაჰლაული". ამიტომაც რუსეთში შედარებით გაძლიერებული შემადგენლობით ჩავალთ. გუნდი ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოს დატვირთვებს — განაცხადა ანჩელოტიმ. კონტეს, ინძაგის, მონტეროს დარად, როსტოვში ითამაშებს კოვაჩევიჩიც. რაც შეეხება ედვინ ვან დერ სარს, მას სურდო შეეყარა და არაა გამორიცხული, მისი ადგილი მიქელანჯელო რამპულამ დაიკავოს. ანჩელოტი არც ახალგაზრდა შვედი მეკარის, ისაკსონის თამაშს გამორიცხავს.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ზინედინ ზიდანი, რომელმაც გაზაფხულზე მუხლის ოპერაცია გაიკეთა, ვარჯიშს შეუდგა, თუმცა „როსტსელმაშთან", ალბათ, ვერ ითამაშებს. ზიდანი, დელ პიერო, ესნაიდერი და ფონსეკა კვლავ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ.

ერთიც: „როსტსელმაშის" და „იუვენტუსის" შეხვედრას იტალიის ტელევიზია RAI გადასცემს. თამაში თბილისის დროით შვიდ საათზე დაიწყება.

**ირაკლი ილაშვილი**

# ჩაპა პრეზიდენტი და...

**ფიფას** პრეზიდენტი ზეპ ბლატერი შეშფოთებულია იმ გაუგებრობებით, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ირგვლივ რომ წარმოიშვა. მას გადაწყვეტილი აქვს, საკითხის მოსაგვარებლად აზიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდეს.

შეგახსენებთ საქმის ვითარებას: აზიის ფეხბურთის კონფედერაცია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია, უკმაყოფილოა იმით, რომ უდიდეს საფეხბურთო ტურნირში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი გუნდის გაყვანა შეუძლია. პირველობის ორი მასპინძლის — იაპონიის და კორეის გარდა აზიელებს კიდევ ორი საგზური ეკუთვნით, მათ კი კიდევ ერთი სურთ.

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ თუ ფიფა მათ დამატებით ერთ ადგილს არ დაუთმობს, ისინი მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს პროტესტს გამოუცხადებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზია 2002 წლის მსოფლიოს პირველობაზე მხოლოდ იაპონიით და კორეით, ანუ მასპინძლებით იქნება წარდგენილი.

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი აზიელთა პროტესტის საფუძვლიანობაში რამდენიმე კვირის წინაც დარწმუნდა — ლოს ანჯელესში გამართული შეხვედრის დროს აზიელები აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე კი მივიდნენ, მაგრამ მერე პროტესტის ნიშნად უკან გაბრუნდნენ.

უეფამ, ფიფას კიდევ ერთმა კონფედერაციამ და ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ აზიას შესთავაზა, ერთი საგზური ჩვენ გავათამაშოთ პლეი ოფის სახითო, მაგრამ ამ უკანასკნელმა იუარა. აზიას დამატებით ერთი საგზური პირდაპირ სურს.

ფიფას წარმომადგენლის თქმით, ზეპ ბლატერმა აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტს, სულთან აჰმედ შაჰს პირადი წერილი მისწერა, სადაც საკითხის მოგვარებას მოითხოვს.

უახლოეს ხანებში ბლატერი თავად ეწვევა აზიის ფეხბურთის მმართველ ორგანოს და შეეცდება წამოჭრილი პრობლემები გადაჭრას.

**კოტე ვაიტაძე**



სარბიელის არქივიდან

ზეპ ბლატერი აზიაში მიემგზავრება

ფეხბურთის რუკასთან



**ურუგვაის** ნაკრების ფეხბურთელი ნიკო ოლივეირა ესპანეთის პრიმერა დივიზიონში აღზევებულ კლუბ „სევილიაში" გადაბარგდა. ოლივეირას აწ უკვე ძველმა კლუბმა, „ვალენსიამ" განაცხადა, რომ ფეხბურთელი „სევილიაში" 2,6 მილიონი დოლარის სანაცვლოდ გადავიდა. 21 წლის მოთამაშე „ვალენსიამ" გასული სეზონის დასაწყისში „სევილიაში" გაანათხოვრა. სამხრეთელმა ნახევარმცველმაც იმდენად მოაწონა თავი სევილიური კლუბის ხელმძღვანელებს, რომ აგერ, შეიძინეს კიდეც. შარშან ოლივეირამ ესპანეთის მეორე დივიზიონში 22 მატჩში 6 გოლი გაიტანა. ნიკო ოლივეირას ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი ვიკტორ პუა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატისთვის ნაკრებშიც იწვევდა, მაგრამ ფეხბურთელი „სევილიამ" თავისთან დატოვა.

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ორ აგენტს გარკვეული ბრალდებები წაუყენა სატრანსფერო საკითხების შეუსრულებლობის გამო. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, მარკ კურტისმა და სქაი ენდრიუმ, რომლებიც ლონდონის „არსენალს" 15 წლის ჟერმენ პენანის შეძენაში ეხმარებოდნენ, სატრანსფერო წესების რამდენიმე პუნქტი უხეშად დაარღვიეს. ფაქტების შესწავლა ნახევარ წელიწადს გრძელდებოდა და ახლა ამ ორ აგენტს სასამართლოს წინაშე პასუხისგება ელის. „არსენალმა" პენანი 3,1 მილიონ დოლარად შეიძინა მეორე დივიზიონის „ნოთს ქაუნთიდან". ლონდონელთა ფრანგმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა მას ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი უწოდა.**

**ბრაზილიის** ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები ამ დღეებში გაიმართა: ვასკუ და გამა — კორინთიანსი 2:4, ფლამენგო — პონტე პრეტა 1:0, კურიტიბა — ვიტორია 2:0, პალმეირასი — ჟუვენტუდი 3:1, სან პაულუ — ატლეტიკო 5:1, ბოტაფოგო — პორტუგეზა 4:0, პარანა — სანტოსი 0:2, გუარანი — ინტერნასიონალი 2:1, გრემიო — ატლეტიკუ 2:1. შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე ოცი გუნდიდან ჩემპიონატის შემდეგ სტადიაზე რვა საუკეთესო გადის.

**იამაიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ვაჟიშვილი და მისი მეგობარი ორშაბათს ქვეყნის დედაქალაქ კინგსტონში მოკლეს. პოლიციის განცხადებით, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ცეცხლსასროლი იარაღით გამოსალმეს სიცოცხლეს 19 წლის ტაჯი ბარელი, ფედერაციის პრეზიდენტ ორას ბარელის შვილი და 22 წლის ჯეისონ ბეილსი. პოლიციისავე თქმით, მკვლელობის მიზეზი მავანი გოგონა ყოფილა — თავდამსხმელებს განსვენებულთათვის ცეცხლი სწორედ მის გამო გაუხსნიათ. ბოლო ხანებში იამაიკა მკვლელობების ქვეყნად იქცა — წლეულს ხუთასზე მეტი ადამიანი მოკლეს, მარტო ივნისში კი 95.**

**ფინეთის** ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის ერთი შეხვედრა ორშაბათს გაიმართა — ჯაზმა ტპვ-ს 2:0 სძლია. ტურის ბოლო მატჩი იოკერიტსა და მიუპას შორის დღეს ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატს 17 თამაშიდან 40 ქულით ვალკეაკოსკის „ჰაკა" ლიდერობს. 18 თამაშიდან 35 ქულით მეორეზე „ჰელსინკია", ხოლო მესამე ადგილზე მყოფ „ჯაზს" 17 მატჩიდან 27 ქულა აქვს.

**ინგლისის ლიგის თასის მფლობელი ლონდონის „ტოტენჰემი" სერიოზულად ფიქრობს ახალგაზრდა ირლანდიელი თავდამსხმელის, რობი კინის შეძენაზე. ლონდონელები მზად არიან, ნიჭიერ ჭაბუკში 6 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. „ტოტენჰემის" მწვრთნელმა, ჯორჯ გრემმა განაცხადა, რომ მისი კლუბი ახალ სეზონს ჯერჯერობით ერთი ძლიერი თავდამსხმელით, სტეფან ივერსენით ხვდება, რაც, ცხადია, არასასურველია. ლონდონელები ცდილობდნენ აწ უკვე „ჩელსიში" გადაბარგებული კრის სატონის „ბლექბერნიდან" შეძენას, მაგრამ მათ მიერ გამოყოფილი 10 მილიონი გირვანქა საკმარისი არ აღმოჩნდა. კინის კლუბი „მიდლსბრო" ახალგაზრდა ფეხბურთელის გასხვისებას ჯერ არ აპირებს.**

**ბრიტანეთში** ახალი სეზონის დაწყებამდე სულ ცოტა დრო რჩება და გუნდებიც ჩემპიონატისთვის ამხანაგურ შეხვედრებში ემზადებიან. ამ დღეებში არაერთი ამხანაგური შეხვედრა გაიმართა: სელტიკი — ლიდს იუნაიტედი 1:2, სენტ ეტიენი — არსენალი 2:2, ფეიენოორდი — ლივერპული 0:2, ჰართსი — ტოტენჰემი 2:2, ჰიბერნიანსი — მიდლსბრო 1:0, ბირმინგემი — ქოვენთრი 3:1, ბრისტოლ სიტი — მანჩესტერ სიტი 1:0, სვინდონი — უიმბლდონი 0:3, მილუოლი — კრისტალ პალასი 1:2, შეფილდ იუნაიტედი — ჩელსი 0:2, სტივენეიჯი — დერბი 1:0, გლენტორანი — ფეიენოორდი 0:2, დონკასტერი — მანჩესტერ სიტი 2:2, იეოვილი — უიმბლდონი 2:2, რეით როვერსი — შეფილდ იუნაიტედი 1:0, ფრედრიკსტადი — ბლექბერნი 2:8, გლაზგო რეინჯერსი — სანდერლენდი 3:1, დანფერმლაინი — ვიგანი 2:1, ბორჰემვუდი — არსენალი 1:6, კინგსტონიანი — ჩელსი 0:3, რეიკიავიკი — უოტფორდი 2:3, სენტ მირენი — გლაზგო რეინჯერსი 2:1.

**იტალიელი მცველი მარკო ლანა ახალ სეზონს ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბ „სარაგოსაში" გაატარებს. თასთა თასის 1995 წლის მფლობელი კლუბის წარმომადგენელმა ხესუს აჩარიკომ განაცხადა, რომ იტალიელმა მოთამაშემ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 31 წლის ლანა გასულ სეზონში „სალამანკაში" თამაშობდა, მაგრამ კლუბის პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის შემდეგ გუნდში დარჩენა აღარ ისურვა. ესპანეთში გადასვლამდე ლანა „სამპდორიას" და „რომას" ღირსებას იცავდა.**

**რუმინეთის** ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ფარული (კონსტანცა) — დინამო (ბუქარესტი) 0:2, ონესტი — რესიტა 2:1, გლორია (ბისტრიტა) — ოცელული (გალატი) 2:3, ბრაშოვი — ბაკაუ 1:1, რაპიდი (ბუქარესტი) — ასტრა (პლოეშტი) 1:1, ნაციონალი (ბუქარესტი) — უნივერსიტატეა (კრაიოვა) 1:0, ექსტენსივი (კრაიოვა) — არჯეში (პიტეშტი) 2:1, პეტროლული (პლოეშტი) — სტიაუა (ბუქარესტი) 5:1. ბუქარესტის „როკარის" და პიატრა ნეამის „ჩაჰლაულის" თამაში ამ უკანასკნელის ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის გამო გადაიდო.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ანელკა ერთი წლით ლონდონში რჩება!




სარბიელის არქივიდან

ნიკოლა ანელკა (№9) კვლავ „მეთოფეა“

არსენ ვენგერმა სიტყვა შეასრულა. გუშინ საღამოს ლონდონის „არსენალმა“ სატრანსფერო სიიდან ამოშალა ფრანგი თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა. ასე რომ, 20 წლის ფეხბურთელი, მიუხედავად თავისი სურვილისა, „მეთოფეები“ დაეტოვებინა, მინიმუმ ერთ სეზონს ისევ „ჰაიბერიზე“ გაატარებს.

შეგახსენებთ, ვენგერმა გასულ შაბათს ანელკას 48 საათი მისცა იმისთვის, რომ ისეთი კლუბი მოეძებნა, რომელიც სანაცვლოდ 20 მილიონ გირვანქას გადაიხდიდა, მაგრამ ფრანგმა ამის გაკეთება ვერ შეძლო.

ერთი პირობა რომის „ლაციომ“ განაცხადა, რომ თანახმა იყო გაელო თანხა, რომელსაც ლონდონელები ითხოვდნენ, თუმცა იტალიელებმა ბოლო მომენტში გადაიფიქრეს.

გუშინ დილით იტალიურმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს ტურინის „იუვენტუსი“ და „ლაციო“ საზიაროდ აპირებდნენ ფრანგის შეძენას. „იუვენტუსი“ „მეთოფეებს“ ნიკოლა ანელკას სანაცვლოდ 33 მილიარდ ლირას (18,16 მილიონი დოლარი) უხდიდა და ტიერი ანრისაც ამატებდა. ფეხბურთელი მომავალ სეზონს რომში გაატარებდა, შემდეგ „ბებერ ქალბატონში“ გადავიდოდა, სადაც ორ წელს დაჰყოფდა. „ლაციო“ კი „იუვეს“ ზუსტად იმდენს გადაუხდიდა, რასაც ტურინელები ფრანგის სანაცვლოდ გაიღებდნენ (ე.ი. 33 მილიარდ ლირას, დამატებული ის თანხა, რამდენადაც ანრი შეფასდებოდა).

მათივე ცნობით, გასულ ორშაბათს „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჟიო კრანიოტი და „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერი ლუჩიანო მოჯი, რომის ერთ-ერთ სასტუმროში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც შესაძლო ტრანსფერის შესახებ ისაუბრეს. ანელკას კი თურმე სულაც არ სურდა „იუვეში“ თამაში და განაცხადა, თუ წავალ, აუცილებლად რომში, ტურინში გადასვლას ლონდონში დარჩენა მირჩევნიაო.

ასეც მოხდა. ანელკა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუწყია სეზონისწინა მზადება, დღესვე ივარჯიშებს „არსენალთან“ ერთად და უკვე მომავალ კვირას „უემბლიზე“ ტრადიციულ საქველმოქმედო მატჩში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც „მეთოფეებსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის გაიმართება.

**ზვიად გაჩეჩილაძე**

# ტრავმირებული მეკარე

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ მეკარე დევიდ სიმენი კარს მომდგარი სეზონის პირველ შეხვედრაში, ალბათ, ვერ ითამაშებს — სიმენმა, რომელიც კლუბთან ერთად საფრანგეთში მოგზაურობს, მორიგი ამხანაგური შეხვედრისას, „მონაკოს“ წინააღმდეგ ტრავმა მიიღო.

ერთ-ერთ მომენტში სიმენი მასპინძელი გუნდის ფეხბურთელს შეეჯახა და კუნთი დაიჭიმა. ტრავმა იმდენად მტკივნეული იყო, რომ სიმენმა მინდორი თავისით ვერ დატოვა — იგი გაიყვანეს.

უკვე გადაწყდა, რომ დევიდ სიმენი ინგლისის სუპერთასზე, იმავე „ჩერითი შილდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. შეხვედრა ამ შაბათს უნდა გაიმართოს. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში სიმენის „არსენალმა“ „ჩერითი შილდისთვის“ თამაში მანჩესტერელებს 3:0 მოუგო. სხვათა შორის, არსენალელებს სიმენის გარდა კაპიტანი ტონი ადამსიც არ ეყოლებათ — ამ უკანასკნელმა მყესების ოპერაცია გადაიტანა.

ცნობისთვის: 1996 წლის ნოემბერში, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ინგლისის ნაკრებმა საქართველო თბილისში 2:0 დაამარცხა, სტუმართა კარში სწორედ დევიდ სიმენი იდგა.



სარბიელის არქივიდან

დევიდ სიმენს (შუაში) ცოტა ხნით დასვენება მოუწევს

# ადამიანი, რომელიც ბედს ადვილად არ ეგუება

*დასრულდა ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ საერთაშორისო ტურნე. პირველ მატჩში, რომელიც მანჩესტერელებმა ავსტრალიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გამართეს, მათი თავდამსხმელი ენდი კოული მოწინააღმდეგე მცველს სიმონ კოლოზიმოს სასტიკად ეუხეშა, რის გამოც ამ უკანასკნელმა ფეხის უმძიმესი ტრავმა მიიღო. ამ ფაქტს მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მატჩის არბიტრმა კოული არც კი გააძევა მოედნიდან. არადა, მანჩესტერელის მოქმედებამ კოლოზიმო ექვსი თვით გამოათხოვა აქტიურ სპორტს.*

**— რას ამბობენ ექიმები, როდის გამოჯანმრთელდებით?**

— როცა ტრავმა მივიღე, ექიმები იმედოვნებდნენ, რომ ის სერიოზული არ იქნებოდა, მაგრამ სამი დღის შემდეგ დღესავით ნათელი გახდა, რომ მინიმუმ ნახევარი წელი ვარჯიშს ვერ შევძლებ. ერთი სიტყვით, მუხლი თავიდან მაქვს ასაწყობი.

**— რას გვეტყვით იმ საბედისწერო შეტაკებაზე?**

— ბევრს ვერაფერს, რადგან თითქმის არაფერი მახსოვს. ბურთზე ისე წავედი, არც კი ვიცოდი, რომ მოწინააღმდეგეც მოდიოდა. უცბად ფეხში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და მინდორზე დავეცი. კოულმა, მგონი, ბოდიში მომიხადა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ამგვარს მეუბნებოდა. მერე წამოდგომა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ საქმე კარგად არ მქონდა.

**— რა გითხრეს თანაგუნდელებმა ამ ინციდენტის შესახებ?**

— არა მგონია, დაენახათ, რაც მოხდა. უბრალოდ, მათ არც კი ეგონათ, თუ ტრავმა ასეთი სერიოზული იქნებოდა. მერე კი, ექიმები რომ გამოჩნდნენ, მაშინვე ჩემს ირგვლივ შეიკრიბნენ. იმ დროს სიმწრისგან თვალები დავხუჭე, მაგრამ მახსოვს, როგორ უსაყვედურა „მანჩესტერ სიტიში“ მოასპარეზე დანი ტიატომ კოულს. მას კი სიტყვაც არ უთქვამს, ალბათ, მიხვდა, რომ დამნაშავე იყო.

**— იმ მატჩში კოულის თამაშიდან გამოთიშვა გევალებოდათ?**

— არა. მწვრთნელმა პერსონალურად რაიან გიგზის მეთვალყურეობა დამავალა. ხომ გითხარით, არც კი ვიცოდი, თუ ბურთზე მოდიოდა.

**— მატჩის განმავლობაში, სანამ მოედანზე იყავით, კოულთან რაიმე სიტყვიერი შელაპარაკება ხომ არ მოგსვლიათ?**

— აბსოლუტურად არავითარი. პრაქტიკულად, არც კი შევხვედრივართ ერთმანეთს და ჯობდა, არც მერე შევხვედროდით.

**— რას ფიქრობთ, იგი განზრახ გეუხეშათ?**

— არავითარ შემთხვევაში. ენდი მშვენიერი ფეხბურთელი და პროფესიონალია. დარწმუნებული ვარ, მას ბურთზე თამაში უნდოდა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, არ გამოუვიდა.

**— იმ დღეს მელბურნში „იუნაიტედმა“ აშკარად უხეშად ითამაშა. თქვენი აზრით, რატომ იყო გუნდი ასეთი აგრესიული?**

— ვერაფერს ვიტყვი. თუ „იუნაიტედი“ რაიმეთი გამოირჩევა სხვა კლუბებისგან, უპირველეს ყოვლისა, ლამაზი ფეხბურთით და არამაც და არამც უხეშობით. არც კი ვიცი, რას მივაწერო მანჩესტერელთა მაშინდელი მოქმედება. თუ გახსოვთ, ერთ მომენტში ნიკი ბატმა ჩემს თანაგუნდელს ისე ჩაარტყა იდაყვი, მეგონა, თავს გაუხეთქავდა, მაგრამ მსაჯმა ამაზეც დახუჭა თვალი. მერე კი კოული იყო...

**— ეს ყველაფერი ოფიციალურ მატჩში რომ მომხდარიყო?**

— მაშინ კოულს ნამდვილად გააგდებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსაჯი იქნებოდა გასაძევებელი.

**— მაგრამ ამხანაგურ თამაშშიც ხომ შეიძლება, ფეხბურთელს მოედანი დაატოვებინო?**

— რა თქმა უნდა, თუმცა, ვფიქრობ, ამხანაგურ მატჩებში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. პირადად მე, როცა არაოფიციალურ შეხვედრებს ვატარებ, ვცდილობ, პროფესიონალიზმი ავიმაღლო, მაგრამ ამას სხვების დაზარალების ხარჯზე არ ვაკეთებ.

**— რომ არ დაშავებულიყავით, სიდნეიშიც ითამაშებდით მეორე შეხვედრას?**

— მგონი, კი. თუმცა ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტი იყო.

**— მატჩის შემდეგ თუ მოგინახულათ კოულმა?**

— არა.

**— მაგრამ მასმედიის საშუალებით ბოდიში მოგიხადათ.**

— ვიცი, მაგრამ იმ დროს არც გაზეთი წამიკითხავს და არც ტელევიზორისთვის მეცალა.

**— თუ შეგეხმიანათ ვინმე „იუნაიტედიდან“?**

— ეს რომ შემემთხვა, მელბურნში მხოლოდ ერთი დღე დავრჩი, ამიტომაც ბევრმა ვერ შეძლო მოსვლა. ისე, მარკ ბოზნიჩმა მომინახულა. მითხრა, რომ წუხს იმის გამო, რაც მოხდა და გამოჯანმრთელება მისურვა. ასევე მოიქცა ტედი შერინგემი.

**— ენდი კოული რომ მოსულიყო და პირადად თქვენთვის ეთხოვა პატიება?**

— რა თქმა უნდა, ეს გამახარებდა. ამ საქციელით ის დაამტკიცებდა, რომ ნამდვილად შესტკივა გული მომხდარზე. ვფიქრობ, ასეც უნდა მოქცეულიყო, რადგან ორივე ფეხბურთელები ვართ და სავსებით შესაძლებელია, ჩემს ადგილას ისიც ყოფილიყო. თუმცა ეს მისი პირადი საქმეა.

**— რა მოხდებოდა, თქვენ რომ დაგეშავებინათ კოული?**

— კატასტროფა! სულ ერთია, ვინ იქნებოდა დაზარალებული — კოული, გიგზი თუ იორკი. მე ხომ მსოფლიოს ერთ-ერთ ვარსკვლავს ექვსი თვით ჩავაქრობდი და ყველას ჩემს წინააღმდეგ განვაწყობდი. ჩემს შემთხვევაში კი ასე არ მოხდა. მერე რა, რომ ერთი უბრალო ავსტრალიელი ფეხბურთელი დაშავდა, რომლის შეცვლაც ყველას შეუძლია. ვიმეორებ, ასეთ დღეში შეიძლება ნებისმიერი მოთამაშე აღმოჩნდეს.

**— ამბობენ, რომ უახლოეს თვეებში ერთ-ერთ ევროპულ კლუბში უნდა გადასულიყავით...**

— დიახ... გადავიდოდი თუ არა, არ ვიცი, მაგრამ რეალური წინადადებები მქონდა მიუნხენის „ბაიერნიდან“ და ათენის „პანათინაიკოსიდან“. თუმცა ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევად მეჩვენება, მითუმეტეს, ახლა დაშავებული ვარ.

**— რას ფიქრობთ, ექვსი თვის შემდეგ როგორ კოლოზიმოს იხილავს გულშემატკივარი?**

— ვერაფერს შეგპირდებით, ერთის გარდა. სიმონ კოლოზიმო ბედს ადვილად არასდროს ურიგდება. მე ვიშრომებ და მჯერა, ჩემს სათქმელ სიტყვას სამომავლოდ მაინც ვიტყვი.

**365-დან თარგმნა**
**ბოქა ჭკადუამ**




სარბიელის არქივიდან

მანჩესტერელ ზანგს ენდი კოულს (მარცხნივ) უხეში ფეხბურთელის სახელი გაუვარდა

# ზედმეტი გერმანელი


კრისტიან ციგე

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონმა „მილანმა“ გადაწყვიტა, კლუბის ორი გერმანელი ლეგიონერიდან ერთ-ერთი — კრისტიან ციგე გაასხვისოს.

აპენინურ პრესას თუ ვენდობით, მილანელები ციგეს ინგლისურ „მიდლსბროში“ უპირებენ გაყიდვას. შეთანხმება ალბიონურ კლუბთან ტრანსფერის თაობაზე უკვე მიღწეულიც ყოფილა.

„მილანის“ წარმომადგენელმა იტალიურ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტს“ განუცხადა: „კლუბების მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა — „მილანს“ ციგეს გაყიდვა სურს, „მიდლსბროს“ — მისი შეძენა. რას გადაწყვეტს თავად ფეხბურთელი, ვერაფერს გეტყვით. არც ის ვიცი, ესაუბრა თუ არა ციგე „მიდლსბროს“ ხელმძღვანელებს“.

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში სატრანსფერო თანხამაც გაჟონა — „მიდლსბრო“ ციგეს სანაცვლოდ 7,6 მილიონ გირვანქას, ანუ 14 მილიონ დოლარს გადაიხდის.

ციგეს საქმეები მილანში ვერა და ვერ აეწყო. გერმანელი ფეხბურთელი იტალიის ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე ტიტულიან კლუბში 1997 წელს გადავიდა მიუნხენის „ბაიერნიდან“ და „შავ-წითლებთან“ ოთხწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. თუმცა კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო — ხან ტრავმები სტანჯავდა, ხანაც ფორმაში არ იყო.

# ლეონარდო არსად წავა

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონ „მილანის“ წარმომადგენლის, ადრიანო გალიანის განცხადებით, ბრაზილიელი ლეონარდო მილანურ კლუბში კიდევ ერთი წლით დარჩება.

გასული სეზონის შემდეგ პსჟ-ს ყოფილი ნახევარმცველის გადაბირება ბრაზილიურ „ფლამენგოსა“ და ინგლისურ „მიდლსბროს“ სურდათ, მაგრამ თავად ფეხბურთელმა იტალიაში დარჩენა გადაწყვიტა.

— მსურს, კიდევ ერთი სეზონი გავატარო „მილანში“. იმედი მაქვს, გაისად ჩემი ოცნება ახდება და სკუდეტოსთან ერთად ჩემპიონთა ლიგასაც მოვიგებთ — თქვა ლეონარდომ, რომელმაც შარშან მილანელთა ღირსება 31-ჯერ დაიცვა და 12 გოლი გაიტანა.


სარბიელის არქივიდან

ლეონარდო

# როტორის დასჯა

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ საფეხბურთო კავშირისა და პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ „ალანია“ — „როტორის“ მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი განიხილა და ვოლგოგრადელები გაამტყუნა. „როტორს“ 0:3 წაგება ჩაეთვალა, ამასთან 50 ათასი რუბლის (2,058 ათასი დოლარი) ჯარიმაც დააკისრა.

შეგახსენებთ, რომ გასულ ოთხშაბათს „ალანია“ — „როტორის“ მატჩი 68-ე წუთზე შეწყდა. მსაჯობით უკმაყოფილო ვოლგოგრადელმა ფეხბურთელებმა კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნით მინდორი დატოვეს.

რაც შეეხება „როტორის“ ტექნიკურ დირექტორ როხუს შოხს, მას ჯარიმის სახით 1 ათასი რუბლის (47,17 დოლარი) გადახდა მოუწევს. შოხმა თამაშის მსვლელობისას უნებართვოდ დატოვა ტექნიკური ზონა და მინდორზე შეიჭრა.

„როტორის“ ნახევარმცველ ვიტალი აბრამოვს კი ლაინსმენის მაისურაზე მოქაჩვისათვის 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუდგინეს.

# ძლევამოსილი მანჩესტერელები

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ჩემპიონთა თასის მფლობელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ აზია-ოკეანეთში მეტოქეები მიანგრ-მოანგრია და ნისლიანი ალბიონისკენ გაემართა.

ინგლისის უძლიერესმა კლუბმა, აღმოსავლეთში ამხანაგური შეხვედრების სათამაშოდ რომ იყო წასული, მეოთხე საწვრთნელი მატჩიც მოიგო და ინგლისში ისე ბრუნდება, ამ ამხანაგურ ბურთაობებში გოლიც კი არ გაუშვია.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მორიგი მეტოქე ჰონკონგის სამხრეთ ჩინეთის ნაკრები იყო — ინგლისელებმა ტედი შერინგემის და ენდი კოულის გოლებით მეტოქე 2:0 დაამარცხეს.

ჰონკონგელი გულშემატკივრები მანჩესტერელებზე სხვადასხვა მიზეზის გამო განაწყენებულნი იყვნენ, თუმცა ევროპელებმა აზიელთა გულის მოსაგებად თამაში სამი თავდამსხმელით დაიწყეს — შერინგემისა და კოულის მხარდამხარ დუაიტ იორკიც თამაშობდა, რაც ჰონკონგელთა მცველებს საქმეს გაცილებით ურთულებდა. ზემოხსენებული სამეულის დარად, თავდამსხმელად შეიძლებოდა ხორდი კრუიფიც განეხილათ, თუმცა იგი შემტევი სამეულის უკან ირჯებოდა.

გოლები „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მე-19 და 24-ე წუთებზე გაიტანა. ჯერ შერინგემმა შეაგდო კოულის პასით, ხუთ წუთში კი თავად შერინგემმა გაატანინა კოულს.

„იუნაიტედის“ ტურნე ამით დასრულდა. ინგლისელები ახლა პრემიერლიგისთვის მოემზადებიან.

ᲙᲝᲢᲔ ᲕᲐᲘᲢᲐᲫᲔ


REUTERS ჰონკონგიდან

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელები აზიელ ბავშვებთან სტუმრობისას

# მზრუნველი პრეზიდენტი

„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნიესმა თქვა, რომ ძალას არ დაიშურებს, რათა კლუბიდან მიმავალ სამ ფეხბურთელს — მიგელ ანხელ ნადალს, ალბერტ სელადესს და როხერ გარსიას კარგი გუნდები გამოუძებნოს.


ალბერტ სელადესი


მიგელ ანხელ ნადალი


როხერ გარსია

„ბარსელონას“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა სამივე მოთამაშეს განუცხადა, რომ ისინი მას აღარ სჭირდება და კლუბში დარჩენის შემთხვევაში ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდებიან.

— კლუბი ყველა მათგანს დაეხმარება ახალი გუნდის მოძებნაში. ამას თითოეულ ფეხბურთელს პირადად შევპირდი — ბრძანა ნუნიესმა და განაგრძო — მათ ჩვენი გუნდისთვის ბევრი რამ გააკეთეს. „ბარსელონა“ ვალდებულია, თავისი ფეხბურთელი კარგ გუნდში გაუშვას. რა თქმა უნდა, აქ დიდ როლს ითამაშებს მთხოვნელი გუნდის შესაძლებლობებიც.

მცველი მიგელ ანხელ ნადალი, რომელსაც ესპანეთის ნაკრებში 45-ჯერ უთამაშია და რომელიც დღეს 33 წლის ხდება, სავარაუდოდ, თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალისტ „მალიორკაში“ გადავა.

სელადესი, რომელიც ხავიერ კლემენტეს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ჰყავდა წაყვანილი, ალბათ, ვიგოს „სელტაში“ გადაბარგდება. სელადესს მადრიდის „რეალი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ნუნიესმა ბარსელონელი მადრიდში არ გაუშვა.

რაც შეეხება როხერ გარსიას, მას ფრანგული „მონაკო“ იწვევდა, თუმცა სად გადავა, უცნობია.

# რობოტბურთი?

— გახსოვთ შარშანდელი საფრანგეთი — ბრაზილია? ჰოდა, დაივიწყეთ, 21-ე საუკუნეში ფეხბურთს რობოტები ითამაშებენ, ჩვენ ახალი ზიდან — რონალდოები გვეყოლება — განაცხადა რობოტთა მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა მატს უიკლანდმა.

რობოტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში დღეს აილებს სტარტს სტოკჰოლმში, სადაც 20 ქვეყნის 90 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

თითოეული მატჩის ხანგრძლივობა 20 წუთია, ხოლო რობოტთა სიგრძე არაუმეტეს 30 სანტიმეტრისა.

მეტწილად, რა თქმა უნდა, იაპონური გუნდებია. ტურნირს კი სახელგანთქმული კორპორაცია SONY სპონსორობს.

პირველი ამგვარი ტურნირი 1997 წელს ნაგოიაში ჩატარდა და იმდენად წარმატებულად, რომ გათამაშებამ სისტემატური ხასიათი მიიღო. უკვე 1998-ში რობოტბურთს პარიზმა უმასპინძლა, მომავალ წელს კი მას მელბურნი შეცვლის.

— არ მესმის, რატომ უყურებს ხალხი ამას ასე სკეპტიკურად. რობოტები არანაკლებ ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე ადამიანები. თუ არ გჯერათ, მობრძანდით და დარწმუნდებით — თქვა უიკლანდმა.

ᲙᲝᲙᲐ ᲭᲙᲐᲓᲣᲐ

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), [illegible] (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), [illegible] (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი);** ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარო (ლეჩე), კალონი (კალიარი);** ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), ძვასი (ლუგანო, შვეიცარია);** ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი);** კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელო (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარო (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნარდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაია (იუვენტუსი);** ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

## ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი);** არსენალი: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია);** ჩელსი: მაიკლ დაბერი (ლიდსი), ენდი მეიერსი (ბრედფორდი), ედი ნიუტონი (ბირმინგემი); **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლექბერნი), იენს ჰოგი (ფენერბაჩე, თურქეთი);** ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ჟან მიშელ ფერი (სოშო, საფრანგეთი); **აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სემი ჰიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი), ჯიმი ტრაორე (ლავალი, საფრანგეთი);** ნიუკასლი: დავიდ ტერიე (ნიცა, საფრანგეთი), ფილიპ ალბერი (შარლერუა, ბელგია), დიტმარ ჰამანი (ლივერპული); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი), კაირონ დაიერი (იფსვიჩი);** ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **კევინ კემბელი (ტრაბზონი, თურქეთი), რიჩარდ გაფი (ნოტინგემი);** ქოვენთრი: ჟორჟ ბოატენგი (ასტონ ვილა), ფილიპ კლემენტი (ბრიუგე, ბელგია); **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);** ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული), ჟორჟ ბოატენგი (ქოვენთრი), ნაგუან გრაები (ჰაპოელი, ჰაიფა, ისრაელი);** ლესტერი: კეისი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი); სანდერლენდი: მაიკლ ბრიჯისი (ლიდსი), ლი კლარკი (ფულჰემი); **ტომას ჰელმერი (ბაიერნი, გერმანია), სტივ ბოულდი (არსენალი), კარსტენ ფრედგაარდი (ლუნგბიუ, დანია);** ლიდსი: ლი შარპი (ბრედფორდი), დევიდ ვატერლი (ბრედფორდი), გუნარ ჰალე (ბრედფორდი); **მაიკლ ბრიჯისი (სანდერლენდი), მაიკლ დაბერი (ჩელსი), დენი მილსი (ჩარლტონი), ერიკ ბაკე (სოგნდალი, ნორვეგია);** დერბი: პაოლო ვანჩოპე (ვესტ ჰემი); **ესტებან ფუერტესი (კოლონი, არგენტინა), ენდი ოუკსი (ჰული), სეტ იონსონი (კრიუ);** ვესტ ჰემი: ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია); **პაოლო ვანჩოპე (დერბი);** უიმბლდონი: მარკ კენედი (მანჩესტერ სიტი), კრის პერი (ტოტენჰემი); **უალიდ ბადერი (ჰაპოელი, ფ-თ, ისრაელი), კელვინ დევისი (ლუტონი), კრის ვილმოტი (ლუტონი), ტორე პედერსენი (აინტრახტი, გერმანია);** უოტფორდი: დარენ ბაზელი (ვულვზი); **დომინიკ ფოლი (ვულვზი), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი), დეს ლიტლი (ნოტონგემი);** ტოტენჰემი: რორი ალენი (პორტსმუთი), ენდი სინტონი (ვულვზი); **კრის პერი (უიმბლდონი), ვილი კორსტენი (ვიტესი, ჰოლანდია);** საუთჰემპტონი: **დინ რიჩარდსი (ვულვზი);** შეფილდ უენსდეი: **ჟილ დე ბილდე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გერალდ სიბონი (აიაქსი, ჰოლანდია), ფილ ოდონელი, სიმონ დონელი (ორივე სელტიკი, შოტლანდია);** ბრედფორდი: **ლი შარპი (ლიდსი), დევიდ ვატერლი (ლიდსი), გუნარ ჰალე (ლიდსი);**

## გერმანია

ბაიერნი თომას ჰელმერი (სანდერლენდი), ალი დაეი (ჰერტა); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პაულო სერჟიო (რომა);** ლევერკუზენი ერიკ მეიერი (ლივერპული), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი), ჰანს-პეტერ ლენჰოფი ?, ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი), პატრიკ ფალკი (აინტრახტი), პაოლო რინკი (სანტოსი); **მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), რობსონ პონტე (გუარანი), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ოლივერ ნოივილი (ჰანზა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი), ვრატისლავ გრეშკო (ბრატისლავა), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი); ჰერტა ალი დაეი (ბაიერნი), სებასტიან დაისლერი (მიონხენგლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კონსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა);** დორტმუნდი ბაშირუ სალუ (აინტრახტი), რენე შნაიდერი (ჰანზა), თომას ჰესლერი (მიუნხენ 1860), თომას ჰენგენი (ბეშიქთაში), მანფრედ ბინცი (ოფენბახი), მარტინ კრეე ?, ჰარი დეშეივერი (კარიერა დაასრულა), სკოტ ბუტი (ტვენტე), შტეფან შაპუიზა (გრასჰოპერი); **ვიქტორ იკპება (მონაკო), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ჯუზეპე რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი);** კაიზერსლაუტერნი მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), თომას რიდლი (მიუნხენ 1860), ოლივერ შეფერი (ბეშიქთაში), უვე როსლერი (ბერლინი), პასკალ ოჯიგვე (კიოლნი); **ტომას სობოჩიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (მეცი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი);** ვოლფსბურგი როი პრეგერი (ჰამბურგი), სეად კაპეტანოვიჩი (დორტმუნდი), მარიან კოვაჩევიჩი (დუისბურგი), კლაუდიო რეინა (გლაზგო რეინჯერსი); **დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი), მარკუს ფელდჰოფი (მიონხენგლადბახი);** ჰამბურგი მარტინ დალინი (ბლექბერნი), ალექსანდერ კურტიანუ (კიშინიოვი), ალან იეპსენი (ჰერენვენი); **ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), როი პრეგერი (ვოლფსბურგი);** დუისბურგი სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი); **მიხაელ ცაიერი (შტუტგარტი), მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი);** მიუნხენ 1860 აბდერაჰიმ ოუაკილი (ბერლინი), **თომას ჰესლერი (დორტმუნდი), მარტინ მაქსი (შალკე), შტეფან პასლაკი (მიონხენგლადბახი), თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი), ფილიპ ტაპალოვიჩი (შალკე);** შალკე ჰამი (ტრაბზონსფორი), ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860), მარტინ მაქსი (მიუნხენ 1860), ფროდე გროდასი (სანტანდერი), საშა ვოლფი (ესენი); **ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი), ებე სანდი (ბრონდბიუ);** შტუტგარტი ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი), ფრანკ ვერლაატი (აიაქსი), მიხაელ ცაიერი (დუისბურგი); **პაველ კუკა (ნიურნბერგი), იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი);** ფრაიბურგი დამირ ბურიჩი (მიონხენგლადბახი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), იორნ შვინკენდორფი (ვალდჰოფი), მაიკ რიტპიჩი (ბოხუმი); **ბიორნ დრეერი (ნორდერშტადტი), ანდრეას ცაიერი (ბოხუმი), ოუმარ კონდე (ბლექბერნი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი).**

## ესპანეთი

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეჰუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ეკტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველიკა (სალამანკა);** ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კადევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), ჰილიპაუკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** ბეტისი: ნადი (ოვიედო), არმონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაო (ტენერიფე);** მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სიგორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სიგორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტე, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზიორო (ბენფიკა, პორტუგალია);** რასინგი: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინა (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** მალაგა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი), კიკო მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კადევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** სევილია: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი იტალია);** ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დოტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## საფრანგეთი

ბორდო: ალი ბენარბია (პსჟ), ივან პერესი (დეპორტივო, ესპანეთი), რომან ფერიე (მონპელიე), კიკი მუსამპა (მალაგა, ესპანეთი), ჯერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბატლე (ტულუზი), ჟერომ ბონისელი (დეპორტივო, ესპანეთი), ჟულენ ესკუდე (კანი), ტედი რიშარი (ტულუზი), ჟან კრისტოფ რუვიე (მონპელიე), სტეფან ზიანი (დეპორტივო, ესპანეთი);** მარსელი: სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრავო (ნიცა), აბუბაქარ „ტიტი“ კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო (ევერტონი, ინგლისი), პაბლო კალანდრია (ურაკანი, არგენტინა), სტეფან დალმა (ლანსი), ერიკ დეკრუა (ნანტი), კაბა დიავარა (არსენალი, ინგლისი), ლილიან მარტინი (მონაკო), სებასტიან პერესი (ბასტია), სტეფან ტრევიზანი (განგამი);** მონაკო: ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ დუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გავა (რენი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), ლილიან მარტინი (მარსელი), რობერტ შპეხარი (ვერონა, იტალია); **მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი, არგენტინა), როხერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო სიმონე (პსჟ);** პსჟ: ადაილტონი (ვერონა, იტალია), მარკო სიმონე (მონაკო), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო პანტელიჩი (სელტა, ესპანეთი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი, გერმანია); **ალი ბენარბია (ბორდო), კრისტიანი (ინტერნასიონალი, ბრაზილია), დომინიკ კასაგრანდე (სევილია), სეზარი (პორტუგეზა, ბრაზილია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური), ლორან რობერტი (მონპელიე);**

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * – უახლესი ტრანსფერი*

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი ეტაპი

პირველი წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ვალეტა (მალტა) | (1,01-15,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | ანორთოსისი (კვიპროსი) — სლოვანი (სლოვაკეთი) | (3,1-1,25) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | პარტიზანი (იუგოსლავია) — რიეკა (ხორვატია) | (1,2-3,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | ცსკა (რუსეთი) — მოლდე (ნორვეგია) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ლიტექსი (ბულგარეთი) — ვიძევი (პოლონეთი) | (2,0-1,5) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ჰაკა (ფინეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | დინამო (საქართველო) — ზიმბრუ (მოლდოვა) | ანგარიში — 5,0 | | | |
| | დნეპრტრანსმაში (ბელარუსი) — აიკ (შვედეთი) | (5,0-1,1) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | სლოგა (მაკედონია) — ბრონდბიუ (დანია) | (4,0-1,15) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) | (1,3-2,8) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | დინამო (უკრაინა) — ჟალგირისი (ლიტვა) | (1,02-10,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ვესტმანაეიარი (ისლანდია) — მტკ (უნგრეთი) | (4,0-1,15) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | მარიბორი (სლოვენია) — გენკი (ბელგია) | (5,0-1,1) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) — სკონტო (ლატვია) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი

პირველი წრე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28.08 | როსტსელმაში (რუსეთი) — იუვენტუსი (იტალია) | (7,5-1,05) | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | რენი (საფრანგეთი) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ვესტ ჰემი (ინგლისი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | მეცი (საფრანგეთი) — პოლონია (პოლონეთი) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | დუისბურგი (გერმანია) — მონპელიე (საფრანგეთი) | (1,6-1,8) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ჰამბურგი (გერმანია) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.07 | სპარტაკი — ზენიტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | სატურნი — ლოკომოტივი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | ნ.ნოვგოროდი — დინამო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ტორპედო — კრილია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | როტორი — ურალანი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ჟემჩუჟინა — ჩერნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### შვედეთის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.07 | იორებრო — გიოტებორგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### კონფედერაციათა თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.07 | გერმანია — ზელანდია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | ბრაზილია — აშშ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 29.07 | ეგვიპტე — საუდეთი | | | |
| | ბოლივია — მექსიკა | | | |

*კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

### ქვეყნის ჩემპიონატები

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

### ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

**რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს**

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

### უეფას თასი

UEFA CUP

**რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს**

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ბერძენიშვილი ლევიცეში გადავიდა



დავით ბერძენიშვილი (№11)

„სლოვაკოფარმაში" სლოვაკეთის სამგზის ჩემპიონი დავით ბერძენიშვილი, რა ხანია, გუნდიდან წამოსვლას და კარიერის სხვაგან გაგრძელებას აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკეთის საუკეთესო გუნდი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ცენტრს კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობდა, იგი მაინც ვერ დაიყოლია. დათო შეუვალი აღმოჩნდა, გულში „სლოვაკოფარმასთან" განშორება ჩაიდო და აისრულა კიდეც. ამის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ ქართველს, უბრალოდ, სხვათა ჩრდილში ყოფნა მობეზრდა, თამაში არცთუ ხშირად მიწევსო — არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის.

ბერძენიშვილის გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, მის შეუპოვარ ხასიათზეც მეტყველებს, რადგან ამბიციურ დათოს სურს, უფრო მეტად გამოავლინოს თავი კალათბურთში. ჰოდა, „სლოვაკოფარმაში" წლობით მეორეხარისხოვანი როლის შესრულებას გაცლა ამჯობინა და... მსურველიც მრავლად გამოუჩნდა 210-სანტიმეტრიან ქართველს.

ბერძენიშვილმა თითქმის მთელი ზაფხული მოსურნე კლუბთა ხელმძღვანელებთან საუბარსა და მათ მიერ შეთავაზებული კონტრაქტების განხილვაში გალია. აქეთ ფინანსური მხარეო, იქით სამომავლო პერსპექტივაო და მრავალი სხვა წვრილმან-მსხვილმანი. საბოლოოდ კი დათომ არჩევანი ასევე სლოვაკურ „ლევიცეზე" შეაჩერა და ამ კლუბის მიერ წაყენებულ პირობებზე თანხმობა სულ ახლახან კონტრაქტზე ხელის მოწერითაც დაადასტურა. გუშინ ჩვენთან საუბრისას კი თქვა:

„გაისად ამ დრომდე „ლევიცეს" საკუთრება ვარ. ყველაფერზე შევთანხმდით და კონტრაქტიც გავაფორმე. გუნდი უკვე ემზადება ახალი ჩემპიონატისთვის, რომელიც სექტემბერში დაიწყება. მე კი ვფიქრობ, 3-4 დღეში დავიწყებ მასთან ვარჯიშს. საქმე ისაა, რომ კლუბთან ერთად საცხოვრებელი ადგილიც გამოვიცვალე. ქალაქი ლევიცე, რომლის სახელიც ეწოდება ახალ გუნდს, პეზინოკიდან (ყოფილი საცხოვრებელი) ერთი საათის სავალზეა. უკვე ბინაც გამომიყვეს ქალაქის ცენტრში, თუმცა ჯერ გასაწყობია და ახლა სწორედ ამით ვარ დაკავებული. როგორც კი დავბინავდები, გუნდს შევუერთდები.

„ლევიცეს" მწვრთნელი 29 წლის პალო ფოშია. ერთ დროს „სლოვაკოფარმას" შემადგენლობაში ერთად ქვეყნის ჩემპიონებიც გავხდით. მერე სხვა კლუბში გადავიდა, სადაც მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და კალათბურთელის კარიერაც დაასრულა. ამის შემდეგ სამწვრთნელო კურსები გაიარა და ამ საქმეში მისი დებიუტი სწორედ „ლევიცეში" შედგება.

გუნდთან შეგუება, წესით, არ უნდა გამიჭირდეს, ასე თუ ისე, თითქმის ყველა მოთამაშეს ვიცნობ, ორნი კი სულაც ყოფილი თანაგუნდელები არიან. ერთი გამთამაშებელია, რომელიც ჩემთან ერთად წამოვიდა „სლოვაკოფარმადან", მეორე კი „ლევიცეში" შარშან გადმოვიდა. ჩემი არ იყოს, ისიც ცენტრზე თამაშობს და ახლაც ერთმანეთის კონკურენტები ვიქნებით, თუმცა ამის სულაც არ მეშინია. მეგობრობაში კი, მოედნის გარეთ, ჩემი თავი ენაცვალოს...

ჩემს გარდა ლეგიონერი „ლევიცეს" არ ჰყავს".

აი, სულ ეს არის, რაც გუშინ დავით ბერძენიშვილმა გვითხრა, დანარჩენი კი მომავლის საქმეა. დავიცადოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ეტაპზე დათომ მართლაც სწორი გადაწყვეტილება მიიღო...

**გიორგი გიგაშვილი**




ევროპის კადეტთა ჩემპიონატი
15-24.07.99 სლოვენია

# ბერიშვილი ყველაზე კარგი ჩამჭრელია

| საქართველო | თამ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მატჩში საშუალოდ | 8 | 21,6/42,1 | 6,3/16,3 | 20,6/34,5 | 30,5 | 5,6 | 10,3 | 3,0 | 27,8 | 82,6 |

## სტატისტიკა (საშუალოდ მატჩში)

| | | |
|---|---|---|
| **ქულა** | | |
| ნიკოლაოს ზისისი | საბერძნეთი | 23,9 |
| კრისტაპს იანისენოკსი | ლატვია | 23,5 |
| ჟულიენ დორო | საფრანგეთი | 21,0 |
| გჟეგოშ კუკიელკა | პოლონეთი | 19,4 |
| ალექსანდერ იონჩევსკი | მაკედონია | 17,4 |
| არმანდს სკელე | ლატვია | 17,0 |
| კოტე ტულუში | საქართველო | 16,6 |
| იასმინ ჩატოვიჩი | სლოვენია | 15,9 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | საქართველო | 14,9 |
| სრდიან ბულატოვიჩი | იუგოსლავია | 14,9 |
| **მოხსნა** | | |
| კრეშემირ ლონჩარი | ხორვატია | 15,3 |
| დრაგო პასალიჩი | ხორვატია | 8,4 |
| არტურ ბაიერი | პოლონეთი | 7,8 |
| ედუარდო სონსეკა | ესპანეთი | 7,7 |
| საშა მუჩიჩი | სლოვენია | 7,6 |
| უროს სლოკარი | სლოვენია | 7,2 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | საქართველო | 7,1 |
| ზაურ ფაჩულია | საქართველო | 7,0 |
| **პასი** | | |
| დიმიტარ მირაკოვსკი | მაკედონია | 3,2 |
| ალექსანდერ იონჩევსკი | მაკედონია | 2,7 |
| კოტე ტულუში | საქართველო | 2,0 |
| ანდრონიკოს გიზოიანისი | საბერძნეთი | 2,0 |
| თეოფანის კუმბურასი | საბერძნეთი | 1,8 |
| მირკო კოვაჩი | იუგოსლავია | 1,8 |
| **ჩაჭრა** | | |
| ანატოლი ბერიშვილი | საქართველო | 2,8 |
| არმანდს სკელე | ლატვია | 2,8 |
| თეოფანის კუმბურასი | საბერძნეთი | 2,5 |

## ევროპის ყველა პრიზიორი კადეტთა შორის

| თარიღი | I | II | III |
|---|---|---|---|
| 1971 | იუგოსლავია | იტალია | სსრკ |
| 1973 | სსრკ | ესპანეთი | იუგოსლავია |
| 1975 | სსრკ | საბერძნეთი | იუგოსლავია |
| 1977 | თურქეთი | იუგოსლავია | სსრკ |
| 1979 | იუგოსლავია | იტალია | ესპანეთი |
| 1981 | სსრკ | იტალია | გფრ |
| 1983 | იუგოსლავია | ესპანეთი | გფრ |
| 1985 | იუგოსლავია | ესპანეთი | იტალია |
| 1987 | იუგოსლავია | იტალია | სსრკ |
| 1989 | საბერძნეთი | იუგოსლავია | იტალია |
| 1991 | იტალია | საბერძნეთი | ესპანეთი |
| 1993 | საბერძნეთი | ესპანეთი | რუსეთი |
| 1995 | ხორვატია | ესპანეთი | საბერძნეთი |
| 1997 | იუგოსლავია | რუსეთი | ისრაელი |
| 1999 | იუგოსლავია | საბერძნეთი | თურქეთი |




სარბიელის არქივიდან

ელტონ ბრენდი

# ჩიკაგომ ბრენდი გაიფორმა

1999 წლის დრაფტში „ჩიკაგო ბულზმა" პირველ ნომრად აიყვანა დიუკის უნივერსიტეტის ფორვარდი ელტონ ბრენდი. აყვანა ერთია და კონტრაქტი მეორე, ამიტომაც ორშაბათამდე ბრენდი ჯერ მხოლოდ არაოფიციალურად იყო „ბულზის" საკუთრება.

კონტრაქტის გაფორმებას კი ერთადერთი რამ უშლიდა ხელს — ბრენდი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შემადგენლობაში ჯერ შეკრებაზე, შემდეგ კი პუერტო რიკოში ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირზე იყო.

და, აი, ორშაბათს, ბრენდი სან ხუანიდან ჩიკაგოში დღის 3 საათზე ჩაფრინდა და ეგრევე ჩააბარა ფიზმომზადების გამოცდა „ბულზის" ხელმძღვანელებს. კალათბურთელს ვერაფერი დაუწუნეს, ამიტომ საუბარი კაბინეტში გაგრძელდა. ცოტა ხანში ბრენდმა ხელი მოაწერა ქაღალდს, რომლის ძალითაც იგი სამ წელიწადში 10,7 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ეს ჩემი ოცნება იყო — თქვა ბრენდმა. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოსახვედრად ბევრი ვიშრომე მზად ვარ „ჩიკაგო ბულზის" აღორძინებაში მივიღო მონაწილეობა... ზეიმი დამთავრდა, ახლა ერთი სული მაქვს სოლტ ლეიკ სიტიში ჩავიდე, გუნდი და მწვრთნელი ტიმ ფლოიდი მელოდებიან". სოლტ ლეიკ სიტიში კი მორიგი საზაფხულო ლიგის თამაშები მიმდინარეობს, სადაც „ჩიკაგო ბულზიც" ცდის ძალებს.

ელტონ ბრენდი, შეგახსენებთ, დიუკის უნივერსიტეტში გამოზარდა სახელგანთქმულმა მწვრთნელმა მაიკ კრჟიჟევსკიმ. კალათბურთელმა უნივერსიტეტში ორ წელიწადს დაჰყო, სტუდენტური კარიერის მანძილზე მატჩში საშუალოდ 17,7 ქულას და 9,8 მოხსნას აკეთებდა.

ბრენდის გუნდში მისვლა „ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობას რეკონსტრუქციის დასაწყისად მიაჩნია. ლიგის ექვსგზის ჩემპიონს ურთულესი პერიოდი უდგას. მაიკლ ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ პირველივე სეზონი კლუბის ისტორიაში ყველაზე ცუდი გამოდგა: „ხარებმა" მხოლოდ 13 მატჩის მოგება შეძლეს და როგორც ერთ-ერთ აუტსაიდერს, დრაფტის პირველი არჩევანიც ერგოთ.

ორი კვირის წინ „ჩიკაგო ბულზმა" კიდევ ერთ ახალბედასთან, რონ არტესტთან დადო კონტრაქტი. არტესტი 1999 წლის დრაფტში ჩიკაგომ აირჩია მე-16 ნომრად.

# ძმა ძმისთვისაო, თირკმლისთვისაო!

მძიმე დროება დაუდგა „სან ანტონიო სფურზის" ფორვარდს შონ ელიოტს: ექიმებმა განაჩენი გამოუტანეს — თირკმელი უნდა გადაინერგოო.

ეს გასაგებია, მაგრამ გადანერგვა ასე იოლი საქმე არ გახლავთ. ამერიკაში არსებობს მომლოდინეთა სია, რომელში ჩაწერილი ადამიანიც, რიგის მიხედვით, თირკმლის დონორს ელის. ამ მომენტისთვის სიაში 40 ათასი კაცია შეყვანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ლოდინში მთელი ცხოვრება გალიო...

აი, ოჯახის წევრი თუ მოგცემს თირკმელს, მაშინ არც სია გჭირდება და არც ლოდინი. საკმარისია შენი და ოჯახის წევრის რაღაც გარკვეული სამედიცინო პარამეტრები ერთმანეთს შეესაბამებოდეს.

ორშაბათს შონ ელიოტმა განაცხადა, რომ მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრის მონაცემები დამაკმაყოფილებელია და იგი შეიძლება კალათბურთელის დონორი გახდეს. თუმცა, დასძინა ელიოტმა, მონაცემები წინასწარია და დამატებითი გამოკვლევებია საჭირო.

ჭორებს თუ ვენდობით, ოჯახის ერთ-ერთი წევრი გახლავთ კალათბურთელის ერთ-ერთი ძმა, რომელსაც აქვს შესაბამისი თირკმელი, ოღონდ რომელ ძმაზეა საუბარი — ნოელზე თუ რობერტზე, დადგენილი არ არის. სისხლის ანალიზი ორივე ძმას და ელიოტის დედას, ოდიემას გაუკეთეს. ეს საქმე შონის მამამ, რობერტ ელიოტმა გააკეთა, რომელიც არიზონას შტატში ტაქსონის საავადმყოფოს თანამშრომელია. თავად მამის დონორობა გამორიცხულია, რადგან იგი ბავშვობიდან დიაბეტითაა დაავადებული.

თავად 31 წლის შონ ელიოტი მექსიკაშია დასასვენებლად და მის გარშემო ატეხილ ამბებს იქიდან ადევნებს თვალს. ძმის შესაძლო დონორობის შესახებ რომ შეიტყო, შონმა თქვა: „მე და ჩემი ოჯახი მადლობას ვუხდით ყველას, ვინც კი გულთან ახლოს მიიტანა ჩემი ავადმყოფობის ამბავი.



სარბიელის არქივიდან

დამწუხრებული შონ ელიოტი

ამავე დროს, ჩემი ოჯახი რთულ მდგომარეობაშია და ამიტომ პრესას ვთხოვ, ეს ამბავი ოჯახის საქმეში ჩაურევლად გააკეთოს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტიკვარული იარაღით მსოფლიოს ჩემპიონატზე

ბუდაპეშტში დამთავრებულ თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე დავით ჭულუხაძე მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა, ნოდარ ბარავი კი ტურნირს ადრევე გამოეთიშა. ამ სახეობაში ოლიმპიური ლიცენზიები გაისად, იტალიის მსოფლიოს პირველობაზე დაურიგდება საუკეთესო ათეულს. ბუდაპეშტში მხოლოდ ერთი, საჩემპიონო ლიცენზია გათამაშდა. ასეთ წარმატებაზე ჩვენებურები არც ფიქრობდნენ, მაგრამ არც ოლიმპიადას უყურებენ გულგრილად. ეს უფრო ჭულუხაძეზე ითქმის, რომელსაც სპეციალისტები ლიცენზიის მოპოვების რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ. თავად დათოც დარწმუნებულია, რომ ლიცენზიისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლია. ის მოკლებულია ნორმალურ სავარჯიშო პირობებს, საზღვარგარეთულ ტურნირებს... ამიტომ ამ ჩემპიონატში საკუთარ თავს უფრო სცდიდა. მისმა შედეგმა საოლიმპიადო იმედები კიდევ უფრო გააღვივა. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან შეროზია ჭულუხაძის გამოსვლით კმაყოფილია, რაც ჩვენც დაგვიდასტურა. თუმცა საუბარი ჩემპიონატის ზოგადი შეფასებით დაიწყო.



დავით ჭულუხაძე



ამირან შეროზია

— ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატში 41 ქვეყნის 112 სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. მასპინძლები სამი წელი ემზადებოდნენ ამ პირველობისთვის და ყველაფერი კარგად გააკეთეს. შეჯიბრებები დუნაიში მდებარე კუნძულზე ჩატარდა. იქ მანამდეც იყო სპორტული ბაზები. მასპინძლებმა ისინი საგანგებოდ გადააკეთეს ამ ჩემპიონატისთვის ისე, რომ ბევრი რამის ლამის თავიდან აგება მოუხდათ.

ეს პირველობა სარეკორდო იყო მონაწილეთა რაოდენობით. რაც შეეხება ორგანიზაციას, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე არაერთხელ ვყოფილვარ, ოლიმპიადაზეც, მაგრამ ასეთი მაღალი დონე არსად მინახავს.

**— ეჭვი არაა, ბუდაპეშტში ყველაფერი კარგად იქნებოდა ორგანიზებული, მაგრამ ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, როგორ გამოვიდა ჭულუხაძე.**

—. ჭულუხაძე ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა. იქ ოთხი ქვეჯგუფი შეიქმნა, სადაც ჯერ ძლიერები ნაწილდებიან განთესვით, დანარჩენებს კი კომპიუტერი არჩევს. დათო A ქვეჯგუფში მოხვდა, რომელშიც 27 კაცი ასპარეზობდა, ფინალში კი 8 გადიოდა. იქ რამდენიმე ძლიერი ხუთჭიდელიც გამოდიოდა — წლევანდელი გამარჯვებული ბალოკი, ევროპული ვერცხლის მფლობელი ჰანზელი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი სვატკოვსკი, რომელმაც ახლა მესამე ადგილი დაიკავა, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი პარიგინი, მსოფლიოს რეიტინგით მეოთხე დანიელსენი... ასეთებთან პაექრობა იოლი არ იყო, მაგრამ დათო ფინალში მაინც გავიდა. ეს კი ვერ მოახერხა პარიგინმა და სხვა არაერთმა ცნობილმა სპორტსმენმა.

ფინალში, 32 კაცს შორის ჭულუხაძემ მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა და სულ რაღაც ოცი ქულით ჩამორჩა წინ მყოფს. თუმცა უკანაც არაერთი სახელოვანი სპორტსმენი ჩამოიტოვა — ევროპის წლევანდელი ჩემპიონი სარპალი, შარშანდელი პრიზიორი მადარი... ყველაზე ცუდად სროლაში იასპარეზა, სადაც მოძველებულმა იარაღმა უღალატა. მაინცდამაინც არც ცხენმა გაუმართლა. დანარჩენ სახეობებში დათომ თავისი შედეგები აჩვენა. სროლაში 20 წლის წინანდელი რევოლვერით ისროდა. მისი უვარგისობა სხვებმაც აღიარეს, ხოლო საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, გერმანელმა კლაუს შორმანმა ჭულუხაძეს ახალი იარაღი აჩუქა.

**— მაგრამ იმ ძველი იარაღით დათო აქამდეც ხომ ისროდა? ამიტომ ყველაფერს მას ნუ დავაბრალებთ.**

— დიახ, ასეცაა. იარაღის გარდა ჭულუხაძე ფსიქოლოგიურადაც ვერ განეწყო სათანადოდ. სროლა ხომ პირველი სახეობაა და მღელვარება ვერ დაძლია. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ასეთ იარაღს დღეს ვარჯიშზეც კი არავინ იყენებს.

**— ესე იგი, ჭულუხაძის შედეგით კმაყოფილი ხართ.**

— მისი პროგრესი საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმაც შენიშნეს. 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 44-ე იყო, 1998-ში — 33-ე, ახლა კი — მე-15. თანაც, დათო შარშან იუნიორი იყო. ამიტომ მოგვილოცა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ეს შედეგი. ამ ჩემპიონატმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ მას რეალურად შეუძლია სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება. წლეულს მსოფლიომდე მხოლოდ სამ ტურნირში გამოვიდა, თუმცა მეტს ვგეგმავდით. არადა, 8-12 სტარტი მაინცაა საჭირო. თუ ყურადღებას მიაქცევენ, ათეულში უეჭველად მოხვდება.

**— მაგრამ საკუთარ თავს თქვენვე თუ არ უპატრონეთ, ხომ ხედავთ, სხვის იმედზე ყოფნა რა ხეირსაც გაყრით.**

— ჭულუხაძემ გადაწყვიტა, ზამთარში საკუთარი ხელფასით წავიდეს სავარჯიშოდ კიევში ან მინსკში. ამ ორიდან იმ ქალაქს ამოირჩევს, სადაც უკეთეს მოსამზადებელ პირობებს შეუქმნიან. ეგ კი არა, ჩვენი გუნდის დანარჩენ წევრებს — ნოდარ ბარავის და თემურ ბალაკარსაც სურთ ზამთარში უცხოეთში თავიანთი ხარჯით სავარჯიშოდ წასვლა. წელიწადის ამ დროს ხომ ჩვენთან ვარჯიში შეუძლებელია. ჭულუხაძემ ბუდაპეშტში საკუთარი ფულით იყიდა საფარიკაო ინვენტარი. ადრე კიდევ რაღაცეები შეიძინა. ისევე თავისი ფულით და ასე, ნელ-ნელა ილჭურვება. ის საქმეს პროფესიულად უდგება, სავარჯიშოდ შეხსენება არ სჭირდება და ოლიმპიადისთვისაც სერიოზულად ემზადება. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენთვის სულაც არაა მთავარი მხოლოდ ოლიმპიადაში მონაწილეობა. ჩვენ შედეგზეც ვფიქრობთ.

**— ვახტანგ იაგორაშვილზეც მინდა გკითხოთ. ბუდაპეშტში დაკავებული მეათე ადგილით, ალბათ, ძალიან უკმაყოფილოა.**

— ძალიან. ის ფინალში ოთხი სტარტის მერე მეოთხე იყო, მაგრამ სირბილმა მეათეზე გადაისროლა. ამ სახეობაში აშკარად სუსტად იასპარეზა. ეტყობა, რაღაც თავსაც მიაკლო, მაგრამ უმეტესად მაინც დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვის ბრალია. ვახტანგს ამერიკელები მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ ლიცენზიას სთხოვენ, რასაც ბუდაპეშტში მხოლოდ ჩემპიონობა იძლეოდა. ეს მას ძალიან ბოჭავდა და საგრძნობლად ნერვიულობდა. თანაც, სექტემბერში ქორწინდება.

სხვათა შორის, ფარიკაობაში იაგორაშვილს ჭულუხაძემ მოუგო.

*შეროზიასთან საუბარს ვამთავრებდით, როცა ოთახში თავად ДАВИД ЧУЛУХАДЗЕ შემოვიდა. ჩემთვის საინტერესო კითხვებს მასზე უკეთ, აბა, ვინ უპასუხებდა და მეც ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვი.*

**— კმაყოფილი ხართ ბუდაპეშტში ნაჩვენები შედეგით?**

— სიმართლე გითხრათ, დროის ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ. მეტიც შემეძლო, მაგრამ ჩემი სროლის გამო... სტარტზე ფსიქოლოგიურად სათანადოდ ვერ განვეწყვე, ამიტომ ჩემი შედეგიც კი ვერ ვაჩვენე. ამას დაუმატეთ ძველი იარაღი, რომლითაც დღეს არავინ ისვრის. შემოწმებისას ყველა გაკვირვებული შემოგვყურებდა. და მაინც, მეთხუთმეტე ადგილი დღეს ჩემთვის ურიგო არ არის.

**— ეს იარაღი ხომ ადრეც გქონდათ, თქვენი შედეგი მაინც რატომ ვერ აჩვენეთ?**

— მართალია, ყველაფერს იარაღს ვერ გადააბრალებ, მაგრამ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ამანაც ითამაშა. ამის გამო 4-5 ქულა მაინც დავკარგე.

**— დანარჩენ სახეობებში როგორ იასპარეზეთ?**

— შარშანდელთან შედარებით დიდი პროგრესია ფარიკაობაში. ცხენოსნობაშიც ბევრად წავიწიე წინ. ამაში კი მინსკში მოწყობილი შეკრებები დამეხმარა. ტექნიკური სრულყოფისთვის იქ გატარებული დღეები ძალიან წამადგა. ცურვასა და სირბილში ყოველთვის ძლიერი ვიყავი და ბუდაპეშტშიც კარგად გამოვედი.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარი თავი უძლიერეს ხუთჭიდელებთან პაექრობაშიც გამოსცადეთ.**

— იქ მართლაც უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მათთან ბრძოლა არ იყო იოლი. ფინალში სასტარტო მღელვარებასაც ვერაფრით მოვერიე. თუმცა მინსკის ბოლო შეკრების მერე ვგრძნობდი, რომ რაღაც მომემატა, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმას ვერ ვბედავდი.

**— ოლიმპიადისთვისაც უცხოეთში უნდა მოემზადოთ?**

— საგაისოდ დიდი გეგმები მაქვს. ოლიმპიურ ლიცენზიაზე სერიოზულად ვფიქრობ. ჯერჯერობით იმედს არ ვკარგავ, რომ დეპარტამენტი მოსამზადებელ პირობებს შემიქმნის. თუ იგი არ დამეხმარება, მაშინ მართლაც წავალ საზღვარგარეთ. მართალია, ფინანსურად არ მილხინს, მაგრამ ვეცდები, ხელფასიდან რაღაც თანხა გადავინახო. მინდა, მთელი ზამთარი მინსკში გავატარო.

**— სპორტული ინვენტარიც თავად შეგიძენიათ.**

— დიახ, საამისოდ გადანახული თანხით. არადა, ფული როგორ მომჭარბდება, ახლაც ფედერაციაში ხელფასისთვის მოვედი. ესაა საფარიკაო ინვენტარი და ხუთჭიდელის საგანგებო ჩანთა, რომელშიც ინვენტარი თავსდება. ჩვენ ძალიან ძველი, მძიმე და მოუხერხებელი ჩანთები გვქონდა, ახლები კი ბევრად მსუბუქია. ამისთვის ბოლო კაპიკები გავიღე. ხურდები მაკლდებოდა კიდეც, მაგრამ გამყიდველს ვთხოვე და დავაკლებინე.

**— საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტსაც დაუსაჩუქრებიხართ...**

— რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების სპორტსმენები დოპინგს ვიღებთ. მე ასეთი მაღალი შედეგები არასოდეს მქონია და დაეჭვდნენ. ჩემი ნახევარფინალური ჯგუფიდან მხოლოდ მე გამატარეს დოპინგ-კონტროლზე, ამ დროს კი ერთი მოლდოველი უკვე გამოჭერილი ჰყავდათ. მეც შემამოწმეს, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვნიდნენ. ამ დროს ჩემი ფინალში გასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო. ისინიც დარწმუნდნენ, რომ მე მხოლოდ ალალი მომზადებით ვაჩვენე ეს შედეგები. ეტყობა, კლაუს შორმანზე ამანაც იმოქმედა. თანაც, მანამდე შეროზიამ მას რამდენჯერმე სთხოვა ახალი იარაღი ჩემთვის.

ირაკლი თავაძე

# ჯანო ბაგრატიონი: კახი ასათიანს შეურაცხყოფისთვის საბაბი არ ჰქონია

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა თავისივე შტაბ-ბინაში გამართა პრეს-კონფერენცია, რომლის მთავარი თემა ესბერგში (დანია) გამართულ V ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში საქართველოს წარგზავნილთა შედეგები გახლდათ. რაკი ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგადაა ინფორმირებული ამ შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენების მიღწევებზე, ამიტომ თავს არ შეგაწყენთ. მაგრამ პრეს-კონფერენციაზე ვისარგებლეთ შემთხვევით და ყურადღება გავამახვილეთ გაზეთ „ივერია ექსპრესში“ გამოქვეყნებულ წერილზე, რომლის სათაურია: „კახი ასათიანი: ნეტა როგორ იტანს ამდენ სულელს ეს ქვეყანა?“**

მოგეხსენებათ, დღეს ბევრს საუბრობენ საქართველოში სპორტის სტრუქტურულ ცვლილებებზე. სწორედ ამის თაობაზე გვიზიარებს თავის აზრს პუბლიკაციაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომლის თქმითაც დადგა დრო, რომ სპორტის მართვის ახალი მეთოდები შემუშავდეს. ქართული სპორტი თავისი მართვისა საშუალებებით ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია სპორტულ ფედერაციათა გავლენის გაფართოება.

საჭიროა, შემუშავდეს სპორტის მართვის ისეთი მოდელი, რომელიც უკეთ მიესადაგება ჩვენს ქვეყანას. ამისთვის არსებობს მრავალი ქვეყნის მაგალითი: საფრანგეთსა და იტალიაში სპორტს მთლიანად ოლიმპიური კომიტეტი მეურვეობს. ზოგიერთ ქვეყანაში კი სპორტზე სახელმწიფო სტრუქტურებია პასუხისმგებელი. ამერიკაში სპორტის სამინისტრო საერთოდ არ არსებობს და ა.შ. ამიტომ მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ისეთი მოდელი, რომელიც ქვეყნისთვის იქნება მისაღები, ხოლო შემდგომ ნელ-ნელა, თანდათანობით დაინერგოს და არა უცბად.

ამავე წერილში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანის თქმით, ამ საკითხზე ყოველი წლის დასაწყისში ბრძოლის გადატანა უხდება და იქვე ფინანსთა სამინისტროს ადანაშაულებს სპორტის დეპარტამენტისთვის კუთვნილი თანხების არგამოყოფაში, რაც საკმაოდ სამართლიანი მოთხოვნაა.

მაგრამ გაურკვეველია, რატომ გამოიწვია დეპარტამენტის თავმჯდომარეში ისეთი გაღიზიანება ეოკ-ის გენერალური მდივნის მოსაზრებამ, რაც საბოლოოდ პირად შეურაცხყოფაში გადაიზარდა. „ნეტა, როგორ იტანს ამდენ სულელს ეს ქვეყანა?“ — კითხულობს კახი ასათიანი.

იქვე დასძენს, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ზენაიშვილისა და კაკულიას მსგავსი ადამიანები რომ უხვად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, ამიტომაცაა ჩვენი ქვეყნის საქმე კარგადო.

ასეა თუ ისე, სეოკ-ში გამართულ პრეს-კონფერენციაზე იმ სტატიასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ჯანო ბაგრატიონს.

— არა მგონია, რომ ის შეურაცხმყოფელი სიტყვები ბატონი კახის ნათქვამი იყოს. ყოველ შემთხვევაში, მე ცუდი ვერაფერი დავინახე ზენაიშვილის ნათქვამში. უბრალოდ, ის აფიქსირებს და ამბობს იმას, რაზეც დიდი ხანია სპორტის სპეციალისტები ვბჭობთ ისევ და ისევ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ. სხვადასხვა ქვეყანაში სპორტის მართვის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ამ პრობლემაზე „სარბიელშიც“ არაერთხელ დაწერილა და „ლელოშიც“ ხშირად დაბეჭდილა ის, თუ რომელ ქვეყანაში მართვის როგორი მოდელია. ბატონ ემზარის გამონათქვამში სწორედ ამაზეა საუბარი. იგი იქვე აღნიშნავს, რომ ეს არ არის უცბად გადასაწყვეტი საკითხი. ამას, ალბათ, ბევრი დრო სჭირდება. დღეს არ შეიძლება რაღაცაზე ხელაღებით უარი ვთქვათ, ან რამე ახალი დავნერგოთ მოუფიქრებლად. სპორტის მართვის ისეთი მოდელი უნდა მოიძებნოს, რომელიც ჩვენს ქვეყანას მოერგება. სხვადასხვა ქვეყანაში სპორტი განსხვავებულად ფინანსდება. ზოგს მთლიანად ბიუჯეტი აფინანსებს და აკონტროლებს, ზოგს — ნაწილობრივ...

ასე რომ, ასათიანს შეურაცხყოფისთვის საბაბი არ ჰქონია და მას არც ზენაიშვილისადმი არაფერი პირადული არ ამოძრავებს.

რაც შეეხება თეიმურაზ კაკულიას, ის საკუთარი თავის გარდა ყველათი უკმაყოფილოა და მათში დამნაშავეს ხედავს.

გიგა გურასაშვილი

ავტორბოლა

# პარიზი — დაკარი თბილისის გავლით

2 აგვისტოს საქართველოში საქვეყნოდ ცნობილი პარიზ-დაკარის ავტორალი შემოაბიჯებს. მოვა, დაგვხედავს და მეორე დღესვე თავისი გზით წავა. ესაა ამ მსოფლიო რალის მეშვიდე ეტაპი — მოსკოვი-სტამბოლი. საქართველო მისი ერთი მონაკვეთია.

ეს ეტაპი უკვე დაიწყო და მისი მონაწილენი გუშინ ასტრახანამდე ჩავიდნენ, ორშაბათს კი საქართველოს ტერიტორიაზეც შემოვლენ. საღამოს მასპინძლები სტუმრებს აეროპორტის ავტოსადგომზე მოწყობილ საკარვო ქალაქში დააბინავებენ. ეს იქნება ძირითადი ბაზა.

შეჯიბრება მეორე დღეს, დილის 7 საათზე აიღებს სტარტს რესპუბლიკის მოედანზე და მარნეულის გავლით დედოფლისწყარომდე ჩავა. ესაა ეგრეთ წოდებული ნულოვანი სტარტი. ნამდვილი რალი, ანუ დროის ათვლა მერე დაიწყება და ასპინძაში დასრულდება. იმავე დღეს მონაწილეები ვალეს საბაჟოს გავლით თურქეთში გადავლენ. ეტაპი 8 აგვისტოს სტამბოლში დამთავრდება.

ასპარეზობაში 19 ქვეყნის 80-მდე ეკიპაჟი ჩაება. მათგან 20 მოტოციკლეტია, დანარჩენი კი „ჯიპი“. ტურნირში მოყვარულებიც გამოვლენ და პროფესიონალებიც. მათ შორის რამდენიმე ტიტულოვანია. როგორც საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციის მიერ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, თბილისში ტელეაპარატურით დატვირთული ოთხი თვითმფრინავი ჩამოფრინდება. მათ თან ჩამოჰყვებათ ხუთი ვერტმფრენი, რომლებიც პირდაპირ ტელერეპორტაჟს უზრუნველყოფენ.

საერთოდ, რალი უდაბნო და უგზო ადგილებში იმართება. საქართველოში გზები ისედაც უვარგისია და აქაურობა რალისთვის მისწრებაა. აკი საამისოდ შეგულებული ტრასა უცხოელ ექსპერტებს უმაღლესი, მეოთხე სირთულის კოეფიციენტით შეუფასებიათ. ისე კი, რალისთვის საჭირო მთლიანი ტრასის სიგრძე 350 კილომეტრამდეა, აქედან ჩქაროსნული 170-ია.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროტესტი გინდა? დადე ფული!


თემურ ბენდიაშვილი

რაგბის კავშირის სპორტულ-ტექნიკურ კომიტეტს ჯერაც არ განუხილავს „ლოკომოტივი 1“-ის მთავარი მწვრთნელის თემურ ბენდიაშვილის პროტესტი, რომელიც ჩემპიონატის მეცამეტე ტურში „ყოჩები“ — „ლოკომოტივი 1“-ის მატჩისას მსაჯის მოქმედების გამო დაწერა რკინიგზელთა თავკაცმა. ბენდიაშვილის თქმით, იმ შეხვედრის არბიტრმა ნოდარ რობიტაშვილმა ბევრი შეცდომა დაუშვა, რამაც გავლენა იქონია შეხვედრის საბოლოო შედეგზე. მატჩი კი „ყოჩების“ გამარჯვებით 13:11 დასრულდა. მატჩის მერე საკმაო დრო გავიდა და პროტესტიც უნდა განხილულიყო, მაგრამ... ბენდიაშვილს თურმე პროტესტისთვის 50 ლარი არ მიუყოლებია, როგორც ეს დებულებით არის გათვალისწინებული. ასე რომ, სანამ რკინიგზელები ამ თანხას არ გადაიხდიან, არაფერი შეიცვლება.

# ოლე, ოლ ბლეკს!




ოკლენდი 24 ივლისი
„იდენ პარკი“ 47 000 მაყურებელი

**ახალი ზელანდია — ავსტრალია**
**34:15 (22:3)**

ახალი ზელანდია: ჰოეფლი (ფიკი), ოლივერი, მიუსი, მაქსველი, რ. ბრუქი (უილისი), მიკა, კრონფელდი, რენდელი, მარშალი, მერთენსი (ბრაუნი), უმაგა (ლომუ), გიბსონი, იერემია, კალენი, ჯ. ვილსონი.
1ლ — მარშალი; 1გ და 9ს — მერთენსი
ავსტრალია: პანოჰო (კროული), პოლი, ნორიეგა, გიფინი, ველბორნი (კონორსი), კოკბეინი, დ. ვილსონი, სტრაუსი (კეფუ), გრეგანი, ჰორანი, როფი, გრეი, ჰერბერტი, თიუნი, ბურკი.
2ლ — გრეგანი, ჰერბერტი; 1გ და 1ს — ბურკი


REUTERS
ახალზელანდიელი ჯასტინ მარშალის (ბურთით) ამ შეტევას „ოლ ბლექსის“ ერთადერთი ლელო მოჰყვა

ესეც ასე. ახალზელანდიელებმა სამხრეთაფრიკელთა გზას ავსტრალიელებიც გაუყენეს და ახლა უკვე საეჭვოც არაა, რომ ისინი სამი ერის წლევანდელი გათამაშების პირველობას არავის დაუთმობენ, რადგან ორივე მეტოქეზე ერთი თავით მაღლა დგანან. ისე კი, პირველობის მოგების თეორიულ შანსი ავსტრალიასაც აქვს და სამხრეთ აფრიკასაც.

მატჩი, გარდა იმისა, რომ ფაქტობრივად წლევანდელი გათამაშების გამარჯვებულს ავლენდა, ბლედისლოუს თასის პირველ ტესტსაც წარმოადგენდა. შაბათამდე ოზებს ათი შეხვედრა არ წაეგოთ და მათთვის სასიამოვნო ტრადიციის დარღვევას არც ამჯერად აპირებდნენ. აკი თქვა კიდეც მატჩის წინ ავსტრალიელთა თავკაცმა როდ მაკქვინმა, ჩვენი სიძლიერე „ოლ ბლექსთან“ მატჩში გამოჩნდებაო. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ამაზეა ნათქვამი. ავსტრალიელებს ახალზელანდიელთა დამარცხების არანაირი შანსი არ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეზე მეტი ლელო გაიტანეს. სხვათა შორის, ამის გამო ზელანდიურმა მასმედიამ „ოლ ბლექსის“ დამრიგებელი ჯონ ჰართი გვარიანად გააკრიტიკა, თუმცა მწვრთნელმა მთავარი შედეგია და არა ლელოების გატანაო. შედეგით და თამაშის ხარისხით კი კივებმა ბევრად დაჩაგრეს მეტოქე. მატჩის ბოლოს კი მაკქვინმა ისლა თქვა, რა გვექნა, მეტოქე ყველაფერში გვჯობდა, მაგრამ უმჯობესია, ახლა დავმარცხდეთ და ის ხარვეზები, რომელიც გუნდშია მსოფლიოს თასისთვის აღმოვფხვრათო. თუმცა ამის დიდი იმედი „ვოლაბების“ გულშემატკივრებს არა აქვთ.

ახალზელანდიელები მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ და უპირატესობა, მატჩის ბოლო ხუთ წუთს თუ არ ჩავთვლით, ხელიდან არც გაუშვიათ. ის ერთადერთი ლელოც მე-9 წუთზე გაიტანეს, თუმც მარშალს ამაში ოზი ჯო როფი წაეხმარა. სტუმრებს ლელოს გატანის პირველი შანსი შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთით ადრე მიეცათ, როცა ჰერბერტმა მოახერხა მასპინძელთა ხაზის გაჭრა, მაგრამ კალენმა იყოჩაღა და რაღაც სასწაულით მეტოქეს ზედ სალელოე მოედნის ხაზთან შეაჩერა. მატჩის გმირად კი, რაღა თქმა უნდა, ენდრიუ მერთენსი აღიარეს, რომლის ანგარიშზეც „ოლ ბლექსის“ მიერ მოპოვებული 34-დან 29 ქულაა.

**ბაჩო სვანიძე**

# დაჭრილი დათვი სექტემბრისთვის მოუშუშდება


ნუგზარ ძაგნიძე

სულ მცირე, სამი კვირით გამოაკლდა ბათუმის „დათვებს“ გუნდის ლიდერი და საუკეთესო მორაგბე ნუგზარ ძაგნიძე, თუმცა საქართველოს ჩემპიონობის მაძიებლებთან — „ლოკომოტივი 1“-თან და „ყოჩებთან“ საპაექროდ, ალბათ, სრულ მზადყოფნაში იქნება. საქმე ისაა, რომ ბათუმელებს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე რკინიგზელებთან და ჩემპიონთან დარჩათ სათამაშო. ეს მატჩები კი წლევანდელი გათამაშების ლიდერებს სექტემბერში ელით, რადგან აგვისტოში ქვეყნის ჩემპიონატში შესვენებაა. ამ პერიოდში „დათვებს“ ორკვირიანი შვებულება აქვთ, დარჩენილ ორ კვირაში კი შეკრებას გაივლიან. სწორედ ამ დროს შეუერთდება თანაგუნდელებს ნუგზარ ძაგნიძე, თუმცა სრული დატვირთვით, ალბათ, აგვისტოს ბოლოსთვის ივარჯიშებს. მისი იძულებითი შესვენების მიზეზი თიაქარია, რომელიც ნუგზარს კარგა ხანი აწუხებდა. ექიმებიც ქირურგიულ ჩარევას ურჩევდნენ. თუმცა უფროსი ძაგნიძე თავს იკავებდა ოპერაციისგან, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, დასტაქრების რჩევას ყური უგდო.

კრივი

# რინგზეც ჩამოცხა

ჩვენს მოკრივეებს, შეიძლება ითქვას, ცხელი დღეები დაეწყოთ. ისინი მონაწილეობდნენ ირანის საერთაშორისო ტურნირში, წინ კი ელით მსოფლიოს ჩემპიონატი, მეორე მსოფლიოს სამხედრო თამაშები და კადეტთა ევროპის ჩემპიონატი, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით იმართება


პაატა გვასალია

— თეირანში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ჰომეინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, საქართველოს წარმომადგენელთა გარდა მონაწილეობდა მასპინძელთა სამი, აზერბაიჯანის, სომხეთის, სირიისა და პაკისტანის გუნდები — გვიამბობს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი სერგო ბერძენიშვილი, რომელიც გუნდს ირანში ახლდა — ჩვენი ათი მონაწილიდან ექვსმა საპრიზო ადგილები დაიკავა. 71 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ზუგდიდელმა ლევან ჯანჯღავამ მოიპოვა. მეორე ადგილებზე 81 და 63,5კგ წონით კატეგორიებში შესაბამისად ფოთელები კახა ბებურია და პაატა გვასალია გავიდნენ. მესამე ადგილები ფოთელმა თეიმურაზ ხურცილავამ (54კგ), თბილისელმა რევაზ ბოჭორიშვილმა (67) და ლევან მექვაბიშვილმა (+91) მოიპოვეს.

საბოლოოდ ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედლით საქართველოს ნაკრებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა. პირველზე მასპინძლები, მეორეზე სირიის, ხოლო მესამეზე აზერბაიჯანის გუნდები გავიდნენ.

ჩვენ მოკრივეებმა ეს ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპად გამოიყენეს, რადგან პაატა გვასალია, ლევან მექვაბიშვილი და გოჩა აბაშიძე, რომელიც, სამწუხაროდ, უმედლოდ დარჩა, მსოფლიო ჩემპიონატში ჩაებმებიან.

**— სამსოფლიოჩემპიონატოდ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა თუ არის დაზუსტებული? — ვეკითხებით ჩვენი ქვეყნის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ ზურაბ ფალიანს.**

— ეს ჩემპიონატი გაიმართება ამერიკის ქალაქ ჰიუსტონში 17-28 აგვისტოს. მასში მონაწილეობისთვის საქართველოს ნაკრების წევრთა ვინაობა დადგენილია, მაგრამ იქ გამოსვლას ისევ და ისევ ფინანსური პრობლემების გამო სრული შემადგენლობით ვერ შევძლებთ. ამერიკაში იკრივებს პაატა გვასალია, რომელსაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებენ. ჩემპიონატში მისი მონაწილეობის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ პაატა თავის წონაში (63,5) მსოფლიო რეიტინგით მეორეა და ამასთან, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვების უპირველესი კანდიდატი გახლავთ.

გოჩა აბაშიძეს (67) აჭარის კრივის ფედერაცია აფინანსებს, ხოლო მძიმეწონოსანი ლევან მექვაბიშვილი და რუსეთში მოვარჯიშე გარდაბნელი მურატ სულთანოვი (75) საკუთარი ხარჯებით მიემგზავრებიან მსოფლიო ჩემპიონატზე.

**— ჰიუსტონის მსოფლიო ჩემპიონატზე ალბათ სიდნეი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისთვისაც იქნება ბრძოლა.**

— არა, მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიური ლიცენზიები არ გათამაშდება. სალიცენზიო ტურნირები ოქტომბრის ბოლოდან გვეწყება.

**— კადეტთა ევროპის ჩემპიონატი სად და როდის გაიმართება?**

— ამ შეჯიბრებას 31 ივლისიდან 9 აგვისტომდე ბაქო უმასპინძლებს. მასში საქართველოს წარმომადგენლები 13 წონით კატეგორიაში იასპარეზებენ. გუნდის მწვრთნელია ბეჟან ჭიჭინავა, ხელმძღვანელი კი თამაზ ბუაძე. გუნდს მიჰყვება საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი დავით ქავთარაძე, რაც ჩვენი ნაკრებისთვის უმნიშვნელო ფაქტორი არ იქნება.

**— მეორე მსოფლიო სამხედრო თამაშების შესახებ რას გვეტყვით?**

— იგი 5-18 აგვისტოს ზაგრებში (ხორვატია) გაიმართება. ამგვარ თამაშებში საქართველოს გუნდი პირველად გამოვა. მასში ჩვენი რიგითები ბადრი კერესელიძე (57), გოჩა რუსია (60), პაატა ვარდუაშვილი (63,5) და ვლადიმერ ჭანტურია (+91) გამოვლენ.

სხვათა შორის, გოჩა რუსია და ვლადიმერ ჭანტურია სამხედრო ვალდებულებას რომ არ იხდიდნენ, ჰიუსტონში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებდნენ.

— შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ ჭანტურია საერთაშორისო ტურნირებისა და ევროპის თასის გათამაშების ფინალისტია. მასზე სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის გარკვეულ იმედს ვამყარებთ.

სალიცენზიო ტურნირები კი, როგორც ვთქვით, ოქტომბრის ბოლოდან დაიწყება. ასე რომ, ძალზე დაძაბული დღეები დაგვეწყო. შეჯიბრებას შეჯიბრება მოჰყვება.

**გიგა გურასაშვილი**

ჭიდაობა

# ჩააცვეს, დაახურეს, დანიაში გაისტუმრეს

დანიის ქალაქ ნიკობინგში „ბერძნულ-რომაულად“ მოჭიდავე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. მასში ჩვენი ნაკრებიც მონაწილეობს. შეიძლება ითქვას, ამ გუნდს გაუმართლა, რადგან იქ წასასვლელი ფული როგორღაც მოაგროვეს, ხოლო დანარჩენებს — ჭაბუკ თავისუფალთა, ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელთა“ და თავისუფლად მოჭიდავეთა გუნდებს დეპარტამენტი კარსმომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატებზე წასასვლელად ჯერაც ვერ აფინანსებს. ამ ნაკრების დამხმარეთა სია, ცოტა არ იყოს, გრძელიც კია — საქართველოსა და აჭარის სპორტის დეპარტამენტები, ქუთაისისა და თბილისის სპორტის სამმართველოები, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა სიორიძე. ამის მიუხედავად, გუნდი ნიკობინგში მაინც არასრული შემადგენლობით წავიდა — ათის ნაცვლად რვა კაცით. ეს ოქტეტი კი ასე გამოიყურება: ალექსანდრე ტაბატაძე (42), პაატა ბიწაძე (54), ლაშა ლომაძე (58), ელიზბარ მაჭუტაძე (63), დანტე ჭინჭარაული (69), მამუკა ჟვანია (76), რამაზ ნოზაძე (85) და რამაზ დევაძე (100)

შარშან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარებულ ანალოგიურ ტურნირში ვანო ჩუბინიძე (63), გიორგი რურუა (85) და ილია ლეჟავა (97) ჩემპიონები გახდნენ. წლეულს მათ ახალგაზრდებში გადაინაცვლეს და მწვრთნელ ვაჟა კრავეიშვილს, ალბათ, შარშანდელი შედეგის გამეორების იმედი აღარც აქვს. თანაც, გუნდის წევრებმა წლეულს უცხოეთში მხოლოდ თურქეთის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს, სადაც ტაბატაძე და ბიწაძე ჩემპიონები, ხოლო მაჭუტაძე და დევაძე მეორე პრიზიორები გახდნენ. დანიაში წასვლამდე თბილისის სპორტის სამმართველომ გუნდს ოფიციალურ ცერემონიალზე გამოსასვლელი ფორმა შეუძინა. მწვრთნელების თქმით, 1992 წლის მერე ჩვენი გუნდებისთვის ეს არავის გაუკეთებია. სამმართველო ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელებსაც“ იმავეს ჰპირდება.

**ირაკლი თავაძე**

# კობა კურტანიძე ისევ რეანიმაციაშია

ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში კობა კურტანიძე კვლავაც ნევროლოგიის ინსტიტუტის რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფება. ექიმების თქმით, მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ სტაბილური. ავადმყოფს გამოკეთებაც აშკარად ეტყობა — დაუწია სიცხემ, გონზე მოვიდა, ახელს თვალებს და ემოციური რეაქციებიც აქვს. დაზიანებული თავის ქალა და ტვინის შეშუპება მკურნალობას ექვემდებარება. გაუარა სეფსისმაც. ექიმებით თქმით, ადრინდელთან შედარებით ახლა გადარჩენის მეტი შანსია. მათ ყველაზე მეტად განმეორებითი სეფსისის საფრთხე აშინებთ.



ბიორნ ბორგი



ალექსანდრე მეტრეველი

# შეხვედრა ბორგთან

## სად მიდის ქართველთა ნიჭი?

ეს ახლაა ასე, იმდენი არხის დაჭერა შეუძლია ტელემაყურებელს, იმდენი სპორტული ღონისძიების ნახვა... თუ ფულიც გაქვს, ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება გაემგზავრო და შენი კერპის თამაშიც ნახო. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს გამოჩენილ უცხოელ სპორტსმენს აქ ჩამოსულს თუ ნახავდი, ისიც ბედი თუ გაგიღიმებდა.

ამიტომაც ჩემთვის მართლაც ძვირფასია გახსენება იმისა, რომ ცოცხლად ვნახე ჩოგბურთის ლეგენდის, შვედი ბიორნ ბორგის თამაში. თანაც ზედიზედ სამი დღის განმავლობაში. რასაკვირველია, ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიას წყალობით დიდი ჩოგბურთი თბილისსაც სწვევია და, ვთქვათ, უნიჭიერესი ილიე ნასტასეც გვინახავს, მაგრამ ბორგი მაინც სხვა იყო ჩოგბურთის სამყაროში.

სტუდენტობისას მე და ჩემი მეგობარი ლატვიის ცნობილ საკურორტო ქალაქ იურმალაში ვისვენებდით და ამ დროს გავიგეთ, რომ სწორედ იქ შედგება მატჩი დევისის თასზე საბჭოთა კავშირისა და შვედეთის ნაკრებებს შორის. გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, გვენახა ბიორნ ბორგის თამაში. ის ხომ შვედების პირველი ჩოგანი იყო. იურმალას მთელი საბჭოთა კავშირიდან, განსაკუთრებით მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, მოაწყდნენ ჩოგბურთის მოყვარულები. გავრცელდა ხმა, რომ ყოველდღე მხოლოდ 50 ბილეთი გაიყიდებოდა, დანარჩენი უკვე შეკვეთით არის გაცემულიო.

დილის 6 საათზე ავდექით და ჩავდექით კორტის სალაროებთან გაჭიმულ უზარმაზარ რიგში. ჩვენ წინ მდგომნი რომ გადავითვალეთ, ცოტა დავმშვიდდით. აშკარად ვხვდებოდით „50 საუკეთესოს" შორის. თუმც სანამ ბილეთებს ხელში არ ჩავიგდებდით, რა დაგვამშვიდებდა.

დიდი რიგი თოკებში მოექციათ, უამრავი მცველი მეთვალყურეობდა, რათა ვინმე არ გამძვრალიყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა შიგნით.

კარგა ორი საათი ვიდექით, რომ ვილაც წითელსამკლაურიანი (ასეთი სამკლაურები ჰქონდათ წესრიგის დამცველებს) წამოვიდა ჩვენსკენ, გზად ერთი-ორი ურიგოდ შემოპარვის მსურველი გააძევა, ჩვენთან მოვიდა და ყურში ჩაგვჩურჩულა, ქართველი ვარ, აი, ფული და ორი ბილეთი ამიღეთო. მოხერხება არ უნდოდა, სად იშოვა ის წითელი სამკლაური და როგორ მოვიდა ჩვენამდე, მართლაც გასაოცარი იყო.

ბოლოს და ბოლოს ავიღეთ ოთხი ბილეთი. ორი ჩვენს ახალ ნაცნობს მივეცით. დიდი მადლობა გადაგვიხადა, სამტრედიელი ვარ, აქ ვისვენებ, ჩემს ოჯახობას (ცოლს გულისხმობდა) უნდოდა ამ მატჩზე დასწრება და შევპირდი, ბილეთებს გავახერხებო. სალამოს შევხვდებით თამაშზეო და დაგვემშვიდობა.

ჩვენც, ბედნიერებმა, ასეთი შეხვედრის ბილეთები რომ ავიღეთ, შინისკენ გავწიეთ. აჟიოტაჟი მართლაც დიდი იყო და, ალბათ, ორი სიტყვით ამის მიზეზიც უნდა ავხსნათ.

ბორგამდე ათეული წლების მანძილზე ავსტრალიელები და ამერიკელები ბატონობდნენ ვაჟთა ჩოგბურთში. 60-იანი წლების ავსტრალიელთა ბრწყინვალე თაობა (ლეივარი, როზუოლი, ნიუკომბი, ემერსონი, როჩი, სტოლე) თითქმის ყველა დიდ ტურნირს იგებდა. 70-იანი წლების დასაწყისში კი, როცა ამ დიდი ჩოგბურთელების კარიერა ნელ-ნელა გაფერმკრთალდა, ამერიკელებმა — სტენ სმიტმა, არტურ ეშმა და სავსებით ახალგაზრდა ჯიმ კონორსმაც შეუტიეს ოლიმპს. მართალია, ავსტრალიელთა და ამერიკელთა ბატონობისას აქა-იქ სხვა ქვეყნებიდანაც (ესპანელი მანუელ სანტანა, რუმინელი ილიე ნასტასე თუ სხვები) გამოჩენილან ჩოგბურთელები, რომლებიც ზოგჯერ მათ მეტოქეობას უწევდნენ, მაგრამ უპირველეს და უცილობელ ლიდერად ვერც ერთი მათგანი ვერ იქცა. ბორგი კი...

შვედი ჩოგბურთელები ბორგამდე არასოდეს გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული წარმატებით. მხოლოდ სვენ დავიდსონი და თომას ლუნდკვისტი მოხვედრილან მსოფლიოს საუკეთესო ათეულში და ისიც უფრო ბოლოსკენ, ბორგი კი უკვე 15 წლისა ვუნდერკინდად აღიარეს. თუმცა მერე მისი წინსვლა ერთგვარად შეფერხდა (ერთხელ ეს ბორგის მშობლებმა მუდამ ცუღლუტ ნასტასესაც დააბრალეს, აქაოდა, ქალებში დაჰყავს ჩვენი ბიჭი და პატარა ბიორნს რუმინელთან მეგობრობა აუკრძალეს), მაგრამ 1974 წლიდან ბორგმა ელვისებური აღმასვლა დაიწყო. მან საფრანგეთის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა. მომდევნო წელს კვლავ გაიმეორა წარმატებანი. მერე, მოგეხსენებათ, მისი სვლა პირველი ჩოგნობისკენ უკვე ველარავინ შეაჩერა. სწორედ ამ წელს გაიმართა ეს მატჩი იურმალაში. საბჭოთა ნაკრებს ვისი იმედი ჰქონდა, რა თქმა უნდა, მეტრეველისა და კაკულიასი. მაშინ შვედები ჯერ კიდევ ერთი კაცის გუნდს წარმოადგენდნენ. ეს შემდეგ მოვიდნენ ვილანდერი, ედბერგი და კიდევ ძალიან ბევრი ნიჭიერი შვედი ჩოგბურთელი. მაშინ კი მეტრეველსაც და კაკულიასაც, რომელთაც დევისის თასზე თამაშის დიდი გამოცდილება ჰქონდათ (მეტრეველი დევისის თასზე გამოსვლებით ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელთა სიაშია), წარმატების შანსი გააჩნდათ.

მოკლედ, მოვხვდით საოცნებო მატჩზე. ჩვენს გარშემო ბევრი ცნობილი მსახიობი და ჟურნალისტი იყო. მაგალითად, ჩვენს უკან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გრიგორი მენგლეტი იჯდა, ჩვენს მარცხნივ „კომსომოლსკაია პრავდის" თუ „მოსკოვსკი კომსომოლეცის" კორესპონდენტი, რომელსაც პრესლოჟაში არ ერგო ადგილი. მარჯვნივ კი, რა თქმა უნდა, ჩვენი სამტრედიელი იჯდა ოჯახობით და წინასწარ გეტყვით, მთელი მატჩის განმავლობაში ისე გაჰყვიროდა, თითქოს ფეხბურთზე იყო და არა ჩოგბურთზე. ტრიბუნაზე ჩვენი ეს მეზობლები იმიტომ ჩამოვთვალე, რომ ამ წერილის გმირები ჩოგბურთელებთან ერთად ისინიც არიან.



თეიმურაზ კაკულია

კაკულიამ, რომელიც ულალატო იყო გუნდური ასპარეზობისას, მოუგო შვედ უვე ბენგსტონს.

სამწუხაროდ, მეტრეველისა და ბორგის შეხვედრამ ჩვენი იმედი არ გაამართლა. ბრწყინვალე ფორმაში მყოფ ბიორნ ბორგთან თამაში რომ ძნელი იქნებოდა, ყველამ იცოდა, მაგრამ მეტრეველს ხომ არაერთი შესანიშნავი მატჩი მოუგია დევისის თასზე სახელმოხვეჭილი ჩოგბურთელებისთვის, თანაც ბორგთანაც გაუმარჯვია (თუმცა მაშინ, როცა ბორგი სრულიად ნორჩი იყო), მაგრამ... ბორგმაც დაამტკიცა, რომ შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა და სამ სეტში მოუგო მეტრეველს. ხასიათი კი წაგვიხდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, პირველ დღეს მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჩვენი აქცენტი ხომ წყვილთა მატჩზე იყო გადატანილი. კორესპონდენტი, რომელიც ჩვენს მარცხნივ იჯდა, აშკარად ანტიქართულად იყო განწყობილი. ძალიან აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს მხოლოდ ქართველები წარმოადგენდნენ, რისთვისაც სამტრედიელს კინაღამ სილა გამოსტყუა. მოჩხუბრები მენგლეტმა გააშველა და კორესპონდენტს უთხრა, მე ყოველთვის მიყვარდა ქართველი ფეხბურთელები, კალათბურთელები და რა არის ცუდი იმაში, რომ ნაკრებში ორი ქართველია, ისინი ხომ მართლაც ერთი თავით აღემატებიან დანარჩენებსო. მოკლედ, პირველ დღეს დანის პირზე გავიარეთ.

წყვილთა მატჩზე ჩვენ, სამტრედიელი და მენგლეტი ადრე მივედით. კორესპონდენტმა შეაგვიანა. მენგლეტმა ამით ისარგებლა და გვითხრა, ნუ გეწყინებათ, ასეთი ხალხი აღვივებს შუღლს ერთა შორის და ყურადღებას ნუ მიაქცევთო. სამტრედიელმა კი უპასუხა, კიდევ რაიმეს იტყვის და ცემით გავასიებ, მაგას შურს, რომ ქართველები ყველაზე ნიჭიერები ვართ და უნიჭო რუსებს ვჯობივართო. ახლა ჩვენ მოგვიხდა კეთილგანწყობილი მენგლეტისთვის სამტრედიელის ნაცვლად ბოდიშის მოხდა.

სამწუხაროდ, წყვილთა მატჩი ჩვენებმა დათმეს. შვედები 2:1 დაწინაურდნენ. მაშინ, როცა მათ გუნდში ბორგი იყო, საბჭოთა ნაკრების შანსი თითქმის მიზერული გახდა. მოგვეჩვენა, რომ ჩვენი მეზობელი რუსი კორესპონდენტი გახარებული უფრო იყო, ვიდრე სევდიანი.

მესამე დღის მთელ იმედებს კაკულიაზე ვამყარებდით, მაგრამ ასეთ ფორმაში მყოფი ბორგის შეჩერებას ვინმე შეძლებდა?

მესამე დღეს უსიამოვნო სიურპრიზი გველოდა. ბორგის წინააღმდეგ კაკულიას ნაცვლად ვოლკოვი გამოვიდა. თეიმურაზი წინა დღეს საკვებით მოწამლულიყო და მატჩზე ვერ გამოვიდა. ვოლკოვისა და ბორგის შეხვედრის პირველი სეტი სენსაციურად წარიმართა — 5:1 ვოლკოვის სასარგებლოდ. უნდა გენახათ რუსი კორესპონდენტის აღტყინება. ხომ ხედავთ, რას ნიშნავს რუსული სული. აი, ესაა ნამდვილი თამაშიო, ამბობდა. სამტრედიელიც კი ველარ პასუხობდა მის რეპლიკებს, მაგრამ ბორგმა უცებ იგდო სადავეები ხელთ, ეს სეტი ხომ 7:5-ზე მოიგო და ნახევარ საათში მთლად ბოლო მოუღო ვოლკოვს. ბორგის გამარჯვებას აღტაცებული მაყურებელი ტაშით შეხვდა. მასთან ჟურნალისტები მიიჭრნენ. მან რამდენიმეს გასცა პასუხი და მერე ხელები აღმართა — მორჩაო. ჩვენი მეზობელი კორესპონდენტი ხელმოცარული დარჩა. სანამ იგი ბორგთან მივიდა, შვედმა ინტერვიუებისთვის განკუთვნილი დრო ამოწურა. ერთი მეტად ლამაზი, ძალიან მოკლეკაბიანი ქალი გაეშურა ბორგისკენ ავტოგრაფის ასაღებად. ალბათ იფიქრა, ჩემი გარეგნობით მოვხიბლავო, მაგრამ ძალიან შეცდა.

ბორგი გასახდელისკენ გაემართა. ხელში ბორჯომის ბოთლი ეჭირა, რომელიც აღმართა, ვერი გუდო, თქვა და ამ დროს უკნიდან მზისგან გარუჯული ორი ქართველი მიეპარა. ერთმა ზურგზე დაჰკრა ხელი, გაოცებულმა ბორგმა მოიხედა, მეორემ კი ფოტოაპარატი წააჩხაკუნა და გავიქეცითო, ქართულად უთხრა მეგობარს. ამაზე სამტრედიელი სიცილით მოკვდა, თავის „მტერ" კორესპონდენტს მიუბრუნდა და, შენც ჟურნალისტი გქვია, ინტერვიუ ვერ აიღე, აი, იმ ორმა მაყურებელმა სურათიც კი გაახერხა ბორგთან, თან „ბორჯომით" ხელში და თან ისეთ პოზაში, თითქოს დიდი ხნის მეგობრები არიანო.

დანაღვლიანებულ რუსს მეტი რაღა ეთქმოდა, თქვენ მარტო ხრიკებში გაქვთ ნიჭიო, უპასუხა. მშვიდობისმოყვარე მენგლეტმა კი რუსი შეარცხვინა, კარგი, რა მოგივიდა, მეტრეველი და კაკულია ხომ შესანიშნავი ბიჭები არიან. თავიანთი თავგამოდებით არაერთი სიამოვნება მიუნიჭებიათ მაყურებლებისთვის და ასე რამ გაგაბოროტაო. მოულოდნელად, კორესპონდენტმა მშვიდად თქვა: ვიცი, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხია, მაგრამ ის მაღიზიანებს, რომ ამით არიან გათამამებულნი, სულ თავიანთ უპირატესობას ამტკიცებენ და არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს ნიჭი გამოიყენონო. მეტრეველს და კაკულიას არ ვგულისხმობ, ისინი შრომისმოყვარე სპორტსმენებიც არიან, მაგრამ ქართველები ამ ნიჭიერებას არ იმსახურებენო. დაგვიტოვა მწარე სიტყვა და წავიდა. მოვკლავ ამ უბედურსო — გაიქაჩა სამტრედიელი და ოჯახობამ (ცოლმა) ძლივს დასვა ადგილზე.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი? რა თქმა უნდა, უპირველესად იმიტომ, რომ უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონის და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელის, ბიორნ ბორგის თამაში ვნახე. მაგრამ, ალბათ, იმიტომაც, რომ ის სიტყვები, რომლებიც, სამტრედიელისა არ იყოს, მაშინ მეც გაღიზიანებული კაცის გამოხდომად მეჩვენა, ახლაც ჩამესმის. ნუთუ მართალია, რომ ჩვენ არ ვართ იმის ღირსი, რაც ბუნებამ გვიბოძა, ნუთუ ამ ბუნების პატრონნი, სადაც ყველაფერია, რაც თვალსა და გულს გაუხარდება, ასე უნდა ვცხოვრობდეთ, ნუთუ მართლაც ნიჭიერ ქართველ სპორტსმენებს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მიწვდომლად უნდა ეჩვენებოდეთ, ნუთუ მართლა ხრიკებში და სხვათა სათავისოდ გაცურებაშია ჩვენი ნიჭი?

არ მინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ ჩემ სურვილზე არც ისე ბევრია დამოკიდებული.

ილია მხეიძე

# რუსებმა დაამუხრუჭეს შვედმა ანამ კი გაუტია

Eni XXIV European swimming championships ISTANPOOL

გუშინდელ „სარბიელში“, ალბათ გახსოვთ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები დიდად ვაქეთ და შეიძლება ამანაც აწყინათ: მედლების მომდევნო კომპლექტის მფლობელთა სიები უწინდელთაგან განსხვავებით, მეტად ჭრელი გამოდგა. თავისუფალი სტილით 4X100 მეტრზე ცურვაში გერმანელმა ქალებმა თავიდანვე რომ იპყრეს ლიდერობა, ბოლომდე არვის დაანებეს და შვედებსა და ბრიტანელებს მხოლოდ მომდევნო საპრიზო ადგილები დაუტოვეს. სამაგიეროდ, მამაკაცებში ჰოლანდიურმა კვარტეტმა გაილაღა, რომელმაც გამარჯვება ევროპის რეკორდითაც მოაპირკეთა. მეორენი აქ რუსები იყვნენ, შემდეგ — გერმანელები.

პირველი უკრაინული ოქრო „გამოადნო“ იანა კლოჩკოვამ, რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა. აღმოსავლეთევროპელებს ერგოთ დანარჩენი საპრიზო ადგილებიც: მეორე — რუმინელ ბეატრის კასლარუს, მესამე — ჩეხ ჰანა ჩერნას.

კაცებში 400 მეტრი თავისუფალი სტილით ყველაზე უკეთ ბრიტანელმა პოლ პალმერმა გასცურა, რომელსაც ცოტათი ჩამორჩნენ იტალიელი ემილიო ბრემბილა და რუმინელი დრაგოშა კომანა; მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ოქრო ირგუნა ესპანელმა ხოსე მიგელ ხილიმ, რომელმაც გერმანელებს, ევროპის შარშანდელ ჩემპიონს ანდრეას ველსა და სტეფან არენსს აჯობა. სპორტის საწყლოსნო სახეობებში ასეთის სახეობაც არის: სინქრონული ხტომა, როცა სპორტსმენები წყვილ-წყვილად ხტებიან აუზში. ამ სახეობაში ყველაზე უკეთესნი გერმანელები იან ჰემპელი და ჰეიკო მაიერი იყვნენ, მეორენი — რუსები, ბრინჯაო კი ბრიტანელებს დარჩათ.

გუშინ სტამბოლის აუზის ტრიბუნაზე შეკრებილი ცურვის მოყვარულები მსოფლიოს რეკორდის მომსწრენიც შეიქმნენ. შვედმა ანა-კარინ კამერლინგმა 50 მეტრი ბატერფლაის სტილში 26.29 წამში გაცურა და 1 ივლისს, ჰალმსტადში დამყარებული თავისივე რეკორდი (26.39) დაამხო. რა თქმა უნდა, ანამ ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი ირგუნა. ამ დისტანციაზე ვერცხლი კამერინგის თვისტომმა იოჰანა სიობერგმა მოიპოვა, ჰოლანდიელი შანტალ გროოტი კი ბრინჯაოს დასჯერდა.

კაცებში კი ამავე დისტანციაზე ჰოლანდიელმა პიტერ ვან ჰუგენბანდმა იმარჯვა და სტამბოლში მეორე ოქრო მოიპოვა. მანამდე პიტერმა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში მიაღწია წარმატებას.

100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გერმანელ სტევ ტელოფს არ ჰყავდა ბადალი. მეორე-მესამეზე, შესაბამისად, ხორვატი გორან კოზულია და ებრაელი ეითან ურაბახი გავიდნენ.

100 მეტრზე ბრასით ცურვაში კი პირველობისთვის იტალიელი დომენიკო ფიოროვანტი და გერმანელი მარკ ვარნეკი იბრძოდნენ, იტალიელმა უფრო იყოჩაღა და 1.37 წუთით ჩემპიონიც გახდა. ბრინჯაო ფრანგ სტეფან პეროს ერგო.

მსოფლიოს ჩემპიონმა გაფრანგებულმა რუმინელმა როქსანა მარაჩინანუმ თავის მდიდარ კოლექციას ევროპული ოქროც შემატა. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში როქსანამ გერმანელები ანტე ბუხშალტი და კეტლინ რუნდი მოიტოვა უკან.

სანაცვლოდ გერმანელმა ქალებმა თავისუფალი სტილით 4X200 მეტრზე ესტაფეტაში არ დაანებეს სხვებს პირველობა და შვედებსა და რუმინელებს არანაირი შანსი არ დაუტოვეს.

**დავით გულუა**



REUTERS სპეციალურად

დაქანცული ანა-კარინ კამერლინგი სარეკორდო გაცურვის მერე



გერმანელი ქალები კატრინ მაისნერი და სანდრა ფოლკერი ერთურთს თავისუფალი სტილით 4X100 მეტრზე ესტაფეტაში გამარჯვებას ულოცავენ



ჰაიკე დრექსლერი



REUTERS სპეციალურად

მაიკლ ჯონსონი (მარჯვნივ)

# შავები და თეთრები ლინცში

ავსტრიულ ლინცში ჩატარებულ გრან პრის მეორე კატეგორიის ტურნირზე ორშაბათს თითქმის ყველა ძლიერმა მძლეოსანმა იასპარეზა და უმეტესობისთვის იგი აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიციაც გახლდათ.

მაიკლ ჯონსონი, რომელიც სევილიაში 400 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესებით დაიქადნა, ლინცში მხოლოდ ზემოხსენებულზე ორჯერ მოკლე დისტანციაზე ასპარეზობდა, თუმცა თავის გამოჩენა არც აქ გასჭირვებია: 20,12 წამით პირველი ადგილი დაიკავა და ორ თანამემამულეს — კობი მილერსა (20,14) და ტონი მაკოლს (20,42), მცირედით აჯობა.

„ნებისმიერ ტურნირზე ასპარეზობა რთულია, იოლად ვერსად გაიმარჯვებ. თუმცა დღეს მოგებასთან ერთად სისწრაფეზეც ვმუშაობდი“ — განაცხადა მერე ჯონსონმა.

აი, მაიკლის თვისტომმა, სარბენ ბილიკებზე დაუმარცხებელმა მარიონ ჯონსმა კი ავსტრიაში სიგრძეზე ხტომაში მოსინჯა ძალა, ოღონდ ვერც ჩვეულად გამოიჭიმა პოდიუმის თავზე და ერთი მეტოქის კომენტარმაც ძალიან დაწყვიტა გული.

ექსკალათბურთელი ჯონსი 6,78 მეტრზე გადახტა და ხუთი სანტიმეტრით ჩამორჩა მძლეოსნობის ბებერ ძუ მგელს, გერმანელ ჰაიკე დრექსლერს, მისმა ნაუბარმაც ხომ უსაშველოდ გაანაწყენა.

„მარიონი ისეთივე მეტოქეა, როგორც ნებისმიერი სხვა, მას გამოცდილება აკლია. როცა სტაბილურობაში მოუმატებს, გაცილებით მეტის მიღწევა შეეძლება“ — უკბინა ჰაიკემ შავკანიან ამერიკელს.

110 მეტრზე წინაღობებით რბენა ყოფილმა მსოფლიოს ჩემპიონმა, ბრიტანელმა კოლინ ჯექსონმა მოიგო სრულიად თარსი შედეგით — 13,13 წამი და ეს მაინცდამაინც არ გახარებია, გამარჯვებით ნასიამოვნები ვარ, მაგრამ არა ასეთი შედეგითო.

იქვე, 100-მეტრიანი დისტანცია კაცებში პირველმა დენის მიჩელმა დაფარა 10,02 წამში, მეორე ბარბადოსელი ობადელე ტომპსონი იყო (10,12), მესამე — კობი მილერი (10,17).

**ბაჩა არჯევანიძე**

## ტექნიკური შედეგები

### ქალები

100 მ.
1 ინგერ მილერი (აშშ) 11.06 წმ
2 ნენსი პერი (აშშ) 11.19
3 პეტია პენდარევა (ბულგარეთი) 11.26

100 მ. წინაღობებით
1 ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) 12.62
2 მელისა მორისონი (აშშ) 12.77
3 შერონ კოუჩ-ჯეველი (აშშ) 12.96

400მ. წინაღობებით
1 ტატიანა ტერეშჩუკი (უკრაინა) 54.50წმ
2 დები პარისი (იამაიკა) 54.71
3 ტაკო დოუფი (სენეგალი) 55.37

800მ
1 შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1.57,82წთ
2 ტონი ჰოდჯკინსონი (ახ. ზელანდია) 2.00,15
3 ანიტა ბრაგერი (შვეიცარია) 2.00,35

ბირთვის კვრა
1 კრისტინა ზაბავსკა (პოლონეთი) 18.60მ
2 ვალენტინა ფედიუშინა (ავსტრია) 18.35
3 ელენა გილა (რუმინეთი) 18.08

შუბის ტყორცნა
1 ლუიზა კერი-მაკპაუელი (ავსტრალია) 66.03მ
2 კარენ ფორკელი (გერმანია) 62.44
3 ტატიანა შიკოლენკო (რუსეთი) 61.80

სიგრძეზე ხტომა
1 ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) 6.83მ
2 მარიონ ჯონსი (აშშ) 6.78
3 შანა უილიამსი (აშშ) 6.76

### კაცები

100 მ
1 დენის მიტჩელი (აშშ) 10.02წმ
2 ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) 10.12
3 კობი მილერი (აშშ) 10.17

110 მ. წინაღობებით
1 კოლინ ჯექსონი (ბრიტანეთი) 13.13წმ
2 დუენ როსი (აშშ) 13.15
3 ჯონათან ნსენგა (ბელგია) 13.35

200 მ
1 მაიკლ ჯონსონი (აშშ) 20.12წმ
2 კობი მილერი (აშშ) 20.14
3 ტონი მაკკელი (აშშ) 20.42

400 მ. წინაღობებით
1 ანჯელო ტეილორი (აშშ) 48.74წმ
2 სტეფან დიაგარა (საფრანგეთი) 49.03
3 კენ ჰარნდენი (ზიმბაბვე) 49.19

1500 მ
1 კევინ სალივანი (კანადა) 3.36,51წთ
2 ბენსონ კოეჩი (კენია) 3.36,55
3 დევიდ კრომენაფერი (აშშ) 3.36,70

3000 მ. წინაღობებით
1 ჯულიუს ჩელულე (კენია) 8.22,78წთ
2 აბრამ ჩერონო (კენია) 8.22,96
3 ფლორიან იონესკუ (რუმინეთი) 8.25,88

სიგრძეზე ხტომა
1 ჯაი ტაურიმა (ავსტრალია) 8.18მ
2 კონსტანტინ კრაუზე (გერმანია) 8.04
3 შონ რობინსი (აშშ) 8.02

შუბის ტყორცნა
1 ვლადიმირ სასიმოვიჩი (ბელარუსი) 80მ
2 ენდრიუ კურიე (ავსტრალია) 79.72
3 ტომ პუკსტუსი (აშშ) 79.39

ჭოკით ხტომა
1 ტიმ ლობინგერი (გერმანია) 5.91მ
2 დმიტრი მარკოვი (ავსტრალია) 5.86
3 ლარს ბოერგლინგი (გერმანია) 5.71

# უმკერდო, მაგრამ ჯიგრიანი

ამ უქმეებზე დასრულებული „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული ლანს არმსტრონგი ერთადერთი სპორტსმენი სულაც არ გახლავთ, ვისაც სიმსივნე დაუდგინეს და ავადმყოფობას მაინც არ დანებდება.

შვედი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი თარჯმორბენალი ლუდმილა ენკვისტი ამ პარასკევს სტოკჰოლმის გრან პრიზე აპირებს გამოსვლას, არადა, რამდენიმე თვის წინ მკერდი მოაჭრეს და ამჟამადაც ქიმიოთერაპიის კურსს გადის.

„მე იმ ტიპის ადამიანი ვარ, ვისაც შეუძლებელის მიღწევა სურს. მინდა დავამტკიცო, რომ ყველაფერი შესაძლებელია“ — განაცხადა 35 წლის ენკვისტმა ორშაბათს. ვეტერანმა შვედმა ოპერაციის გაკეთების შემდეგ თქვა, რომ აუცილებლად გამოვა სიდნეის ოლიმპიადაზე და 100 მეტრ დისტანციაზე წინაღობებით სირბილში თავისი ტიტულის დაცვასაც შეეცდება.

„იმ დღეების გარდა, როდესაც შინ ქიმიოთერაპიის შემდეგ ვბრუნდები, თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობ. ყველაფერი ისე კარგად მიდის, რომ ვიფიქრე, რატომ არ უნდა ვიასპარეზო-მეთქი? მარტო ვარჯიში ძალიან მოსაწყენია“

რუსეთში დაბადებული ენკვისტი, რომელიც შვედეთის მოქალაქე 1996 წელს გახდა, თავის მომავალ გეგმებს სტოკჰოლმის გრან პრის შემდეგ დააწყობს: თუ იქ წარმატებით იასპარეზა, იქნებ სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი დააპიროს ჩასვლა.

# ალბიონელები არ ხუმრობენ

ამერიკელი მძლეოსნები ტრადიციულად მსოფლიოში უძლიერესებად ითვლებიან 4X100 მეტრზე ესტაფეტაში, თუმცა მათ ამგვარ იმიჯს ერთი ხანია წყალი შეუდგა. ჯერ კანადელებმა შემუსრეს ამერიკული ციტადელი, როცა დონოვან ბეილის თამადობით ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონობა წაჰგლიჯეს მეზობლებს, ახლა კი ბრიტანელებმაც წამოყვეს თავი. მათი ლიდერი დარენ კემპბელი უშფოთველად აცხადებს, რომ ბრიტანელები ამერიკელებს სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე უეჭველად „მოათვინიერებენ“. „ესტაფეტის გადაცემის მეთოდები ავტომატიზმამდე გვაქვს დამუშავებული“ — ამაყად ამბობს კემპბელი — „და თავადაც ისე სწრაფად დავრბივართ, ადრე რომ არასოდეს გვირბენია. ჩვენთან განსაცვიფრებელი კოლექტივიზმის ატმოსფერო სუფევს, ყველა გამარჯვებაზე ფიქრობს და არცერთი — მეორე ადგილზე“. კემპბელს ისიც არ აწუხებს, ამერიკელთა გუნდში უძლეველი მორის გრინიც რომ ირბენს და მომავალი მეტად ნათელ ფერებში ეჩვენება. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

**დავით გულუა**

# ძრწოდე, ტერორო!

*ოლიმპიური მოძრაობა და ტერორიზმი ამ ბოლო ხანს მეტისმეტად „დაძმობილდნენ" — ლამის არცერთი დიდი ტურნირი არ ჩაივლის ისე, რომ არაბი ან სხვა ათასი ჯურის შეამბოხენი ბათქა-ბუთქით არ მიესალმნონ. მაგრამ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის ორგანიზატორებს აფეთქებები მაინცდამაინც არ ჰყვარებიათ და თავდაცვისთვის წინასწარ ემზადებიან. ეს ვერტმფრენი S70A-9 „ბლექჰოკი", სიდნეის ოლიმპიური სტადიონის თავზე რომ დაფრენს, ავსტრალიის ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს ეკუთვნის და ამ დღეებში სპორტულ შეკრებაზე იმყოფება.*


REUTERS სიდნეიდან

## მობილური ფეხსაცმელი

*გამარჯვებას ათასნაირად ზეიმობენ: ერთნი ოთხზე დგებიან და ძაღლივით ისაქმებენ, მეორენი ტრიბუნაზე ხტებიან და მაისურას ტანზე იხევენ, მაგრამ მექსიკელმა ბერნარდო სეგურამ მართლაც ყველაზე უსიამოვნო პროცედურა მოიფიქრა: აბა, რა სიხარულია, 20 კილომეტრის სპორტული სიარულით გავლის შემდეგ ოფლის სუნით აქოთებული ფეხსაცმელი ცხვირ-პირთან მიიტანო და, მობილური ტელეფონიაო ხალხს მოატყუო... თუნდაც მანამდე პანამერიკული თამაშების ოქროს მედალი გქონდეს მოგებული.*



REUTERS ვინიპეგიდან


REUTERS ვინიპეგიდან

## კარატე პანამერიკულად

ვინიპეგში მიმდინარე მეცამეტე პანამერიკული თამაშები დიდი ხანია, გახურდა და კარატისტებმაც უკვე ბლომად მედლები გაინაწილეს. ეს მხიარული ვენესუელელი გოგო, ლოყაზე მწვრთნელი რომ ჩქმეტს, მარია კაროლინა ვეიოუაა და 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაიფრინა. 80-კილოგრამიანი კაცების ფინალში კი ტურნირის ყველაზე მძაფრი ბრძოლა გაჩაღებულა: მუშტებიც ბევრი ურტყამთ და ფეხებიც, თვალებიც ჩაულურჯებიათ და ცხვირიდან სისხლიც უდენიათ, საბოლოოდ კი ამერიკელ დაგლას სელჩენს ბრაზილიელი ალტამირო კრუზი ტატამზე დაუგდია და ოქროს მედალიც მოუპოვებია.


REUTERS ვინიპეგიდან

### ავსტრიული [illegible]

V ტური

ტიროლი 5:0 ლინცერი

1:0 გილევიჩი (2), 2:0 ჰიორტნაგლი (5), 3:0, 4:0 გილევიჩი (21, 49), შარერი (83)

გრაცერი 0:0 ზალცბურგი

რიდი 1:1 ლუსტენაუ

1:0 შტაინინგერი (10), 1:1 ბუტრეი (33)

### კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5




## მოწევ სიგარას? მიჰქარავ!

რა აქვთ საერთო კალათბურთის ჯადოქარ მაიკლ ჯორდანს, მომღერალსა და მსახიობს, აშშ-ის ყოფილ სილამაზის დედოფალ ვანესა უილიამსსა და მრავალტანჯულ პრეზიდენტ ბილ კლინტონს? თუ თვალი ოდნავ მაინც გიჭრით, იოლად მიხვდებით: სიგარების სიყვარული. ჰოდა, თუ მილიონობით სიგარეტის მწეველს მთელს მსოფლიოში ჯანდაცვის აქტივისტებმა სიცოცხლე ნიკოტინზე უარესად მოუწამლეს, ახლა იგივე სიგარების ზემოხსენებულ მოყვარულებსაც ელით, რადგან მავან საკვლევ ინსტიტუტებს გულ-ფილტვ-ჯიგრისთვის მისი არანაკლები საშიშროებაც დაუდგენიათ.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli